

ფილოსოფოსი

სოკრატე



Handwritten text in red ink, likely a library or collection stamp, oriented vertically on the right side of the page.



ფილოსოფოსი

სოკრათი

3122

ნათარგმნი

და

გამოცემული დ. ძაზაროვის-მიერ.



თბილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანცისა № 39.

1915

ფილოსოფოსი

სოკრატე

I

სოკრატესა ჭსურს გაგება თუ, როგორ უნდა იცხოვრონ კაცთა, უურს უკლებს თავის გულის ხმას.

სოკრათი დაიბადა საბერძნეთ ათინის ქალაქში, სოკრატის მამა უბრალო ქვის მთლელი კაცი იყო, და მისი დედა ბებია. ბევრჯელ სწორედ ამაზე ამბობდა სოკრათი, თავის დედა ბებიაობითა ჰშველის კაცთა მშობიარობას—მათ ქვეყანაში მოსვლისთვის,—და თვითონაც კი ფრთსა და იგივეს შერება; მაშასადამე არამც თუ შველის კაცთა, არამედ ბუნების მოთხოვნილებას.

სოკრატის მამა თავის შვილს ასწავლიდა თავისსავე ხელობას და იშვიათათაც კი გზავ-

ნიდა სკოლაში სასწავლებლად, წერა-კითხვისთვის და სხვა მკოდინარეობის სასწავლებლად. იმ ქამად ათინაში ცოტათუ ბევრათ ყოველნი კითხულნი იყვნენ, და ამიტომაც ბევრი იყო სხვა და სხვა სასწავლებლები სკოლები, რომელშიაც ყოველად შეუძლებელნი ღარიბი ყმაწვილები სწავლობდნენ ეზოებში, სადაც ქვიშაზედ ჯოხით აწერინებდნენ და აკითხებდნენ. სხვა ცოტა მდიდარ სკოლებში კი, ასწავლიდნენ, წერა-კითხვას, მხატვრობას, ანგარიშს, და ლექსების გამოთქმას. ყოველად უმაღლეს სასწავლებლებში კი ასწავლიდნენ იმას, რაც იმ ქამად იცოდნენ ბერძნებმა.

სოკრატი ყმაწვილობიდანვე ძლიერ თვალლია ყმაწვილი იყო, და ძლიერ გამოკრიახე, წერა-კითხისა ძლიერ ხალისი ჰქონდა და ამისთვისაც სოკრატი თავის მამამ მისცა ყოველად უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სოკრატმა მიიღო ყველა იმ დროინდელი სწავლა—და ყველა წაიკითხა იმ დროინდელი რჩეული წიგნები, და თხზუ-

ლებები, საბერძნეთის მწერლებისა.

როდესაც სოკრატმა სწავლა დაასრულა, დაბრუნდა თავის მამასთან და დაიწყო თავის მამის ხელობა, ესე იგი ქვის მთლელობა. სოკრატმა ძლიერ გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა, და მუშაობაშივე სულ იმ ფიქრში იყო, ის ფიქრობდა, თვითონ ყველა სწავლა მიიღო, იცის ის ყველა, რაც რომ კაცთა ასწავლიდნენ და თვითონ კი ის არ იცოდა. რაც რომ კაცისთვის იყო საჭირო, თუ თვითონ, თუ სხვა ხალხმა.

სოკრატი ჰფიქრობდა, საჭიროა ვითქრო და გაეიგო ის თუ, როგორ უნდა იცხოვრონ კაცთა. თუ არა და რა გამოვიდა რომ ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ?.. როდესაც ჩვენი სწავლიდამ ჩვენ სარგებლობა არაფერი გვექნება. თუ ჩვენ, ჩვენის სწავლით შეგვეძლოს ცის ვარსკვლავთა აღრიცხვა, და შეგვეძლოს კვალად, ზღვის წვეთების დათვლა, — და თუ ყველასთვისაც ესწავლებინათ ის ყველა რაც მე ვიცი, მით კიდევ ჩვენი მდგომარეობა ვერ გაუკეთდესდებოდა.

ჩვენ ყოველნი დღე და ღამ ეწვალობთ, აქეთ ვეცემით, იქით ვეცემით, ჩვენგანნი ყოველნი თავისთვის ურომობს და მოქმედობს, მხოლოდ თავისთვის რომ, კეთილდღეობა მოიპოვოს, მხოლოდ როდესაც საქმეს ვასრულებთ, კარგ საქმის სამაგიეროდ, ჩვენ ჩვენთვის შევნებულ საქმეს ვამზადებთ, და ჩვენთაგანმა ნამდვილი არაფერი ვიცი თუ ნამდვილად კარგი რომელია კაცთათვის ანუ რომელია ცუდი: მაგალითად ავიღო ჩემი თავი, მე საკმარისი ბევრი რამ მისწავლია, თუ ვინმემ მკითხოს თუ, როგორ უნდა იცხოვრონ კაცთა, მე ამისას ვერაფერს ვერ ვეტყვოდი. აი, სწორედ ეს არის აუცილებელი საჭიროება რომ კაცმა გაიგოს. სწავლადაც მიღებული ჩემი ყველა სარგებლობა ის იყო რომ, მე გავიგე თუ, ჩვენი ყველა სწავლა ცარიელნი არიან, წინად კი, როდესაც მე არაფერი სწავლა არა მქონდა, მეგონა თუ ერთი რამ მაინც ვიცი, ახლა დარწმუნებული ვარ რომ არაფერი არ ვიცი. მხოლოდ ჩემი სწავლის მიღე-

ბის სარგებლობა ის არის, პირველი რომ, ამ
ჟამად მე მხოლოდ ერთი საქმე ვიცი, ის არის
რომ არაფერიც არ ვიცი. მე ღმერთების
მხრივ მასწავლიდნენ რომ, იმათ გაუჩენიათ
კაცნი და ისინი სწყალობენ კაცთა, თუ
კაცნი იცხოვრებენ იმათ ნებისა თანახმათ.
თუ იმათ ნების თანახმათ არ იცხოვრეს
და არ აასრულებენ იმას, რასაც ღმერთები
უბრძანებენ, მაშინ სასტიკად დასჯიან ისი-
ნი. ეთქვათ, ღმერთებს რა ჟუნდათ ჩვენ-
გნით? და როგორ გვიბრძანებენ რომ ჩვენ
ვიცხოვროთ?..“

სოკრატს მოაგონდა ის ყველა, რაც რომ
თავისთვის ესწავლებინათ ღმერთებზე. იმ
ჟამად ბერძნებს მრავალი ღმერთები და
ღმერთანი ჰყვანდათ: პირველი ისე მიეჩნი-
ათ, ზეციერ ღმერთად, მეორე ზღვისა, მე-
სამე ქარისა, მეოთხე მზისა, მეხუთე ლაშ-
ქრობისა, მეექვსე სიხარულისა და მეშვიდე
სიკვდილისა.

ჰყვანდათ კიდევ ღმერთანი, —მეცნიერე-
ბის ღმერთა, მტრობის ღმერთა, ხენათეს-

ვის ღმერთა, ხელ-საქმის ღმერთა და სხვა-
ნი მრავალნი ღმერთანი. ღმერთების მხრივ
ეწერა რომ, ისინი იმყოფებიან ზეცას, რო-
გორც კაცნი ქვეყანაზე და უმტერდები-
ან თავიანთში ერთმანეთს და კაცსაც კი
მტრობენ.

რომელ ღმერთსაც ზევსს (არმაზდს) ეძა-
ხიან, იმან დაიწყო თავის ხელმწიფობა ზე-
ცას, იმით რომ, თავის მშობელი მამა ჯო-
ჯოხეთი ზეცილამ გადმოაგდო. მაშინ მოა-
გონდა სოკრატს, ავრეთვე ის, რომელიც თა-
ვისთვის კიდევ ესწავლებინათ ის, როგორც
ზევსი ღმერთი ჩხუბობდა თავის ცოლთან
და ატყუებდა იმას.

თუნდა რომ იგინი ღმერთებად ირიცხე-
ბოდნენ, მაგრამ მათი მოქმედება და საქ-
მე, ხალხის საქმისათვის არის.

იფიქრა კვალად სოკრატმა და თქვა; არა
ეს ღმერთნი ჭეშმარიტნი ღმერთნი არ არი-
ან, ამათ საშუალებით შეუძლებელია გა-
გება, თუ როგორ უნდა იცხოვრონ კაც-
თა! ეს ღმერთნი ისეთივე სუსტნი თვისე-

ბისანი არიან, როგორც კაცნი და თვით
ეს ღმერთნი ჭეშმარიტების მოთხოვნილე-
ბის თანახმად არ ეკიდებიან; მაგათგან არ
შეიძლება სწავლა—და კეთილისა ბოროტი-
საგან გარჩევა. ჭეშმარიტი ღმერთი კეთი-
ლი უნდა იმყოფებოდეს და უნდა შეეძ-
ლოს სწავლება ხალხისა, თუ როგორ უნ-
და იცხოვრონ.“

სოკრატმა დაიწყო ძებნა, იმ გვარ ღმერ-
თისა. წლობით ფიქრობდა და წვალობდა
სოკრატი, ისე რომ დღე და ღამ მოსვენე-
ბა არა ჰქონდა ამ ფიქრებით. მხოლოდ
მოატანა იმ დრომ, როდესაც სოკრატს გა-
მოეცხადა ისა რასაც რომ ეძებდა. იმან
ჰპოვა ის ღმერთი რომელსაც თვითონ
ეძებდა, რომელსაც არა სცნობდნენ იმ ფა-
მად ბერძნები და სოკრატმა კი იპოვა, არამც
თუ სხვაგან არაჰედ თავის გულში და გუ-
ლის სიღრმეში.

სოკრატი როდესაც ჭეშმარიტ ღვთის
ძებნაში იყო, ბევრს შეხვდებოდა დღე ან
ღამე, როდესაც ჰფიქრობდა და ჰსურდა

რომ რომელიმე საქმე დაეწყო, უცხრად მოესმოდა — თავის გულის ხმა, თუ საწარმოებელი საქმე კეთილი იყო, ის ეუბნებოდა: „სოკრატ აწარმოეო“, თუ რომ ბოროტი იყო, ეუბნებოდა იგივე ხმა, „ნუ აწარმოებ სოკრატ“ და სოკრატი ყოველთვის ყურადღებას აქცევდა იმ ხმას. რომელიც დღე დღითი უფრო და უფრო ცხოველდებოდა სოკრატის გულში. იგი ხმა რა კვალზედაც აყენებდა სოკრატს, ეს ყველა ჭეშმარიტი გამოდიოდა.

სოკრატი ყოველთვის იმ ფიქრში იყო, „და ჰკვირობდა თუ ეს ხმა რა უნდა იყოს რომ ყოველთვის კეთილ კვალზედ მაყენებსო!.. ეს ჭეშმარიტიაო რომ, კეთილ კვალზე დამყენებელი ჩემის თავისა, მე არა ვარო, მხოლოდ ერთი სხვა არსება რამ უნდა იყოსო ჭეშმარიტი, ჩემ კეთილ კვალზედ დამყენებელი. და სხვა არსება ვინ უნდა იყოსო? ეს რა ხმა არის რომელიც ყოველთვის კეთილს და ჭეშმარიტს მეუბნება და მასწავლის რომ მე ჭეშმარიტად ვიც-

ხოვრო, მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ რომ ეს ხმა ღეთის ხმა უნდა იყოს.

სოკრატმა იმ ხმას დარქვა მას შემდეგ, ღმერთი. იმ ხმამ აჩვენა სოკრატს ის რასაც ეძებდა და რაც ჰსურდა გაეგო. თუ როგორ უნდა ეცხოვრა კაცთა.

როდესაც სოკრატმა იცნა ის ღმერთი, მაშინ იგრძნო რომ ყოველ კაცსაც შეუძლიან თავისებურათ იცნოს იგი,—და თავისებურათაც სხვას შეუძლიან გაგება იმ ხმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა.

სოკრატი ფიქრობდა და ამბობდა, „ეს ჩემი გაგებული საქმე ძლიერ დიდი საქმეაო, ამიტომ რომ მე თანადამსწრე ვიყავ ჰერმარტიტებისა და გავიგე კეთილი, მაშასადამე მეც უნდა სხვას ვასწავლო, რადგანაც შეეძლოთ იმათაც კეთილი ცხოვრება.

როდესაც სოკრატი დარწმუნდა და დაეთანხმა იმ ხმას, იმ ჟამად მამა მისი გარდაცვალებული იყო, და თვითონ სოკრატიც დასახლებული იყო—და ჰყვანდა რამდენიმე შვილიც. როდესაც თავის მეუღ-

ლეს უთხრა რომ იმას გამოსცხადებია
ლეთის ხმა. ცოლმა არ დაუჯერა, მაგრამ
როდესაც სოკრატმა უამბო მას რომ თვი-
თონ განძრახვა აქვს, ეს საქმე ყველასაც
განუზიაროს და ასწავლოს. ცოლმა დაიწ-
ყო გაშფოთება რომ, არავის ასწავლოს ის
ხმა რომელიც სოკრატს გამოეცხადა. ეუბ-
ნებოდა: „მავას ნუ იზამ, საქმიდამ და სა-
ბადებლიდამ უნდა ხელი აიღო და დაიწყო
ხალხის სწავლა, რა სარგებლობა? ეს იცო-
დე რომ თავს ხიფათში გაიხვევო და მა-
შინ ჩემი და ყმარწვილების დღეც უნდა
გამწაროვო, მაშინ ჩვენი ცხოვრება და
მდგომარეობა რა იქნებაო? მოდი ყური
დამიგდე და თავი დაანებე მაგ აზრსაო,
უშენოთაც ბევრნი არიან მასწავლებელ-
ნიო“.

სოკრატმა არას გზით არ გაუგონა ცო-
ლის რჩევას. ის ჰხედავდა თავის გარეშკმო
მთელი ერი თავის წრეში იტანჯებოდა და
ცუდს მდგომარეობაში იყო ჩაყარდნილი,
ამიტომ რომ არ იცოდნენ თუ როგორ ეც-

ხოვრათ, ძაგრამ რადგანაც სოკრატს ესმო-
და ეს საქმე, ამიტომ არ უნდოდა თავის
გულის სიღრმეში დაემალა. ღვთის ხმაც
ერთსა და იგივეს ეუბნებოდა სოკრატს.

ძლიერ ძველ დროიდან დაწყებული,
ვიდრე სოკრატის დღემდის, ბერძნები კარ-
გად სცხოვრობდნენ. იმათ ქვეყანა თბილი
იყო და მიწა ნაყოფიერი, ყოველ საქმეს
თვითონ აწარმოებდნენ. მიწააა ხნავდნენ,
სთესავდნენ, ვენახებს აშენებდნენ, ფუტ-
კარს აწარმოებდნენ, პირუტყვს ამრავლებ-
დნენ, (საქონელს) და სხვა. იმ დროს არც
მდიდარი სჩანდა არც თუ ღარიბი, არც
ბატონი იყვნენ და არც ყმანი, ყოველნი
თავის თავს ემსახურებოდნენ და სცხოვ-
რობდნენ თანასწორედ.

შემდეგ ბერძნებმა დაიწყეს გალაშქერა
და ომიანობა, თავიანთ მეზობელ გვარ-ტო-
მებთან და ძლიერ შეაწუხეს ისინი, ომიან-
ობის დროს დიდძალი დავლა იშოვეს
ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და
მრავალი საუნჯენი, აგრეთვე მრავალი ტყვე-

ნიც კი ჩაუვარდათ და მოასხეს, ყველამ თავ-თავისად მონებათ გახადეს;—ომიანობის მიზეზით ბერძნები ძლიერ გამდიდრდნენ, რომელიც ყველას იმათი ცხოვრება თან-და-თან ცუდ მდგომარეობაში ჩაუვარდა. რადგანაც რომელნიც მამაცნი და ვაჟკაცნი იყვნენ, სამხედრო სამსახურში შევიდნენ, რომელნიც ჭკვიანნი იყვნენ, სამოქალაქო თანამდებობა მიიღეს, რომელთაც ვაჭრობა შეეძლოთ, ვაჭრობა დაიწყეს. და ამით ყველამ ხელი აიღო მძიმე მუშაობილად. მათგანს არც ერთს არა ჰსურდათ მძიმე მუშაობით ხელი გაეძრათ.

სოკრატის დროს ათინაში მონანი ბევრნი იყვნენ ვიდრე ბატონები: ბატონები იქნებოდნენ რიცხვით (ას ათას სულამდის 100,000) მონები კი 350,000 სულამდის, ყოველ საქმეს მონები ასრულებდნენ, ისე რომ ბერძენთა კეთილშობილთა ძლიერ სირცხვილად მიაჩნდათ მუშაობა ანუ რომელიმე მძიმე საქმეში ხელის გაძერა. მებატონების საწადელი და ცდა ის იყო ყო-

ველთვის რომ, როგორ მოახერხონ და ან
რა მანქანებით შეიძინონ დიდრონი ვაჭ-
რობა, ანუ მაღალ ხარისხოვან სამსახურ-
ში შესვლა, რომ იმით გამდიდრდნენ. და
ანუ რა გზით იხელთონ და მოიპოვონ
ძლიერი და ღონიერი მუშა მოსაქმე მო-
ნანი. და მონების კოლ-შვილნი, იმიტომ
რომ თვითონ უღარდელად და განცხრო-
შით ეცხოვრათ.

ამ გვარად სცხოვრობდნენ იმ ქადაგ
ბერძნები, შემდეგ და შემდეგ ძლიერ შე-
ვიწროვდა დაბალი ერი, არავის აზრი არა
ჰქონდა ჰეშმარითი ცხოვრებისა სულ გლე-
ჯა-ყვლეფაში იყვნენ ერთმანეთისა, არც
შველოდნენ თავიანთ მოძმესა და არც იბ-
რალებდნენ თავიანთ მონებს და მონის
კოლ-შვილსა—და ყველა ისინი განუსაზღვ-
რელ ტანჯვაში ჰყვანდათ ყოველთვის.
მხოლოდ ყოველი კაცი იმას ჰფიქრობდა
რომ სხვა მოვდრიკოთ კისერზედ შევასხ-
დეთო და თავზე კაკალი ვამტერიოთო და
ისე ვატაროთო.

სოკრატმა ნახა რომ, ერი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა და ძლიერ გაირყენა“ თავიანთ მოქმედებით თავიანთ თავს თვითონვე სტანჯავდნენ. სოკრატი გამოდიოდა მოედანზე და ყოველ შემთხვევაში უქადაგებდა ერსა, იმას რაც რომ თავის გულიდამ ხმა ესმოდა და რა კვალზედაც აყენებდა იგი ხმა, მაგალითად ხმა ეუბნებოდა იმას რომ, ხალხის მდგომარეობა ცუდი სიცოცხლე არისო, ერმა მაგ გვარად არ უნდა იცხოვროსო.

II

კაცმა როგორ უნდა იცხოვროს.

ერთ ეამად სოკრატი შეხვდა მოედანზე ერთ ახალგაზრდა მდიდარ კეთილ-შობილს, რომელსაც სახელად ეწოდებოდა არისტონ. არისტონი ამაყი და თავხედი ყმაწვილი კაცი არ იყო, ის გულმშვიდი ახალგაზრდა

კაცი იყო; მხოლოდ ისე ცხოვრობდა როგორც სხვა მდიდარი ბერძნები, ის არა საქმეში არ იყო, და არც არას აწარმოებდა, ის მხოლოდ ემსახურებოდა თავის ქეიფს და თავის თავსა, და ყოველთვის სულ ლხინში და მხიარულებაში ატარებდა დროს.

სოკრატმა შეხვედრისათანავე დაუწყო იმას ლაპარაკი, როდესაც ხალხმა ნახა რომ სოკრატი არისტონს ელაპარაკება მრავალნი მოგროვდნენ, დაუვდეს სოკრატს ყურის გდება, სოკრატი ამბობს.

— არისტონს გაუმარჯოს, სადა ხარ არისტონ დიდხანია არა სჩანხარ? გეტყობა რომ საქმების გამოთ არა გქონია დრო და ჩვენსავით ცუდათ დროს არ ატარებ.

— არა უპასუხა არისტონმა: მე რა საქმე უნდა მქონდეს! არც საქმე მაქვს გასაკეთებელი და არც თუ ვსაჭიროებ, მე უსაქმოთაც კარგა ვსცხოვრობ, მე ხომ ღარიბი არავარ, მადლობა ჩემს ღმერთებს სიმდიდრე ბევრი მაქვს და არა მაკლიარა, მაშასადამე რა გაჭირვება მაღვია რომ უბ-

რალოდ ვისაქმო და თაეი გავიტანჯო?...
ის სხვა საქმეა თუ მმართველობის თანამ-
დებობაში ამომირჩევდნენ და დამნიშნავ-
დნენ რომელიმე საქმეზედ, მაშინაც ჩემის
სახელისა და პატივის გულისთვის მივიღებ-
დი ჩემს თავზედ, მაგრამ ვინ იცის იმასაც
ავასრულებდი თუ არა.. როდესაც კაცი
ერთ რომელსამე სამსახურს მიიღებს თა-
ვის თავზე მაშინ უნდა ათას ნაირ ფიქრში
და მზრუნველობაში ჩავარდეს. გინდა თუ
არა უნდა წახვიდე მოხვიდე, გაიგო, რლა-
პარაკო ან დასწერო და სხვა ამისთანა სა-
ქმესაც ჩემთვის მომეტებულ დავიდარაბა-
თა ვსთვლი, რათ მინდა რომ ჩემს თავს
მაგდენი მწუხარება მივაყენო, ფული ბევ-
რი მაქვს და მონები მრავალნი მყვანან, რაც
მოვიინდომო მზათ არის, ვცხოვრობ მხია-
რულად, და უღარდელად, არც არაფერი
მაკლია...

— ჭეშმარიტია ეგ რომ სრულებით
ღარდი არა გაქვსრა მაგრამ, კარგი იქნებო-
და ბოლომდის შენს მთელ სიცოცხლეს
თუ მაგ გვარად გაატარებდე.

— რათ უნდა იყოს ცუდი, სხვა რა იქნება მაგაზე კარგი? როდესაც შენს მთელს სიცოცხლეს სულ ქეიფში და მხიარულებაში ატარებდე?..

— სწორედ საქმეც მაგაში მდგომარეობს, რომ ძლიერ კარგია მაგ გვარი სიცოცხლის ვატარება, უპასუხა სოკრატმა. რა საქმეც ჩვენ კარგად მიგვაჩნია, ყოველთვის კარგი არა დგება. თქვენ გსმენიათ ჰერკულესის ანბავი?.

— ვის არა სმენია ჰერკულესის ანბავი! თუ ის, რა გმირი და ვაჟკაცი ყოფილა და რა შესანიშნავი საქმეები ჩაუდენია და იმით სახელი და დიდება მიუღია! სთქვა არისტონმა.

— ეგ კეთილი მაგრამ, შენ ისიც გსმენია იმან როგორ მოიპოვა ცხოვრების გზა? უპასუხა სოკრატმა.

— ეგ კი არ გამიგია.

— თუ არ გაგიგია, მე შენ დაწვრილებით გიამბობ, უთხრა სოკრატმა: ჰა, გსურს გიამბო?

— გვიამბე, გვიამბე, სოკრატე, ერთ ხმათ სთხოვეს შეკრებილმა ხალხმა რომელნიც ყურს უგდებდნენ სოკრატის ლაპარაკს. სოკრატმა დაიწყო მოთხრობა.

„მაშასადამე კარგად გაიგეთ, როცა ჰერკულესი ხანში შევიდა, დიდ საფიქრებელში ჩაეარდა თუ თავისთვის რა გზა ამოირჩიოს ცხოვრებისა? ის ერთხელ სასეირნოდ წავიდა და ერთთავად სულ იმ ფიქრში იყო, როგორ მოახერხოს და როგორ იცხოვროს ბედნიერად. იმან ბევრი იარა თუ ცოტა, იმ ფიქრში, გავიდა ერთ დიდ ველზე, ნახა რომ ორნი დედაკაცნი მოდიან სწორედ თავისაკენ. ჰერკულესი ძლიერ გაჰკვირდა და თვითონაც ფეხი დააჩქარა იმათ მისაგებებლად. იმ ორ დედაკაცთაგანი ერთი არც მალალის ტანისა იყო, არც თუ დაბალი ტანისა, არც სქელი იყო ძლიერ არც წვრილი, არც ძლიერ მორთულ-მოკაზმული; იმას ეცვა უბრალო ტანისამოსი, ის წყნარის ნაბიჯით მოდიოდა და არა სიჩქარით. მეორე კი ტანად მალალი

იყო და სქელი, ტანთსაცმელი ეცვა ძლიერ
ძვირფასი და სახეზედაც ფერ-უმარილი ნა-
ცხები. პირველი მომავლობით წყნარად
მოდიოდა და არც ეჩქარებოდა, არც აქეთ
იქით იყურებოდა. მეორე კი ერთთავად
მტვრევით მოვიდოდა და თავმოწონებით
აქეთ იქით იხედებოდა და ზოგჯერაც თავის
ტანზე დაიხედავდა ხოლმე, როდესაც ეს
ორივენი მოახლოვდნენ ჰერკულესს, კარგად
ჩაცმულმა ისკუპა ერთის გადმოხტომით და
ჰერკულესის წინ დადგა—უთხრა იმან: მე
ვიცი ჰერკულესს შენ ფიქრობ იმაზე რომ,
რა ცხოვრება ამოიჩიო უფრო უკეთესი,
და რა გზას დადგე. აი, ამიტომაც მოვ-
სულვარ მე რომ გაჩვენო კეთილი გზა
ცხოვრებისა, რომელიც ყველაზე უკეთე-
სია, თუ მე დამიჯერებ და ჩემს გზას მო-
ჰყევი, ბედნიერი იქნები ყოველ ჟამს—და
სიხარულშიაც, გაჭირვებას არასოდეს არა
ნახავ. არც იშრომებ და არც იზრუნავ, არც
არაფრისთვის დალონდები. ერთ სიხარუ-
ლიდამ გადახვალ მეორეში, და მხოლოდ

შენი ფიქრი ის იქნება რომ შენ თვითონვე ამოიჩიო თუ რა სასმელ-საჭმელს შეექცე რომ უფრო გემრიელი და შემრგო იყოს, და აგრეთვე რომელი ქვეშსაგები რბილია და თბილი, — და რომელი სიხარული და დროს გატარება იქნება უკეთესი. შენი დიდი შრომა მხოლოდ ეს იქნება, რომ ბრძანო რაც რომ გუნებაში გაგივლის ყველაფერი მზათ იქნება, მხოლოდ შენს ბრძანებას სხვები ასრულებენ მსწრაფად.

„სქელი ქალის ამისთანა დაპირება ძლიერ მოიწონა ჰერკულესმა და იმას ჰკითხა: შენი სახელი რა არისო?

მან ქალმა უპასუხა: „ჩემი ნამდვილი სახელი არის აწმყო ბედნიერება“, მხოლოდ ჩემ მომშურნე მტრებმა დამარქვეს სიმშურნით, ხელლია ქალი (ქარაფშუტა).

„მეორე ქალი პირველის ლაპარაკის დროს წყნრად იდგა თავისთვის ხმაც არ ამოუღია, მხოლოდ როდესაც დაასრულა სქელმა ქალმა თავის ლაპარაკი,

მაშინ დაიწყო მეორე ქალმა ლაპარაკი და უთხრა: წინადევ გეტყვი ჩემს სახელს: მე მექახიან სახელად „ქეშმარიტებას“ (ანუ სიმართლეს), ამის მეტი მე სხვა სახელი არა მქვიათ რა, მე თქვენ გაკვირვებაში არასოდეს არ შეგიყვანთ ანუ უმეცრებაში, როგორც ამან მოიქმედა, მე ქეშმარიტად გეტყვი თუ რაში მდგომარეობს კაცის კეთილი ცხოვრება, მაშინ თქვენ თვითონვე მიხვდებით ჩემს რჩევას და შენ იქნები კეთილ-მდგომარეობის კაცი. თქვენ თვითონ კარგად იცით რომ დედამიწა შეუშუშავებლად ნაყოფს არ გამოიღებს კეთილს, თუ იმას პატივი არ მიეცი, თუ კაცი მოინდომებს რომ იყოლიოს საქონელი ბარი, კამეჩი, ძროხა, ცხენი და სხვა. იმან პირველად უნდა იზრუნოს იმათთვის კარგი ბოსელი, ანუ გომი, შემდეგ სხვა და სხვა მათი საქიროება, რომ მნახველმა არამც თუ დასძრახოს არამედ ქება დაუწყოს ყოველთვის და ღმერთებმაც მოუწონონ და შეიყვარონ იგი, უნდა იმათი ნება დასრულოს,

იმათი ნება ის არის რომ, შენ შენის შრომით დააჯილდოვო სხვის შრომა. აი ამ გზაზედ წაგიყვან შენ და ამ გზითაც მოიპოვებ კეთილდღეობას“.

„ჯერ მეორე ქალს თავის ლაპარაკი არ დაესრულებინა რომ პირველი შუა შემოვიდა და სთქვა.

— ხედავ ჰერკულეს, რა გაჭირვებულ გზაზე გაყენებს! შრომა, შრომა და სულ შრომა, სულ შრომას გპირდება. მაგრამ სინხარული იქნება თუ არა ის არაფერ იცის, ის უფრო კარგი არ არის რომ ჩემს კვალს მოჰყევ? ჩემის კვალის მოდევნით შენ შრომა და გაჭირვება არასოდეს არ გექნება, მე გარწმუნებ რომ პირველ ნაბიჯზევე სინხარულს ნახავ. ტკბილად იცხოვრებ, გემრიელ საჭმელ-სასმელებს იგემებ და მოსვენებითაც დაიძინებ. მოდი დამიჯერე მოჰყევ ჩემს კვალს, უთხრა თავ-მოწონებით და ჰსურდა დაეჭირა ჰერკულესი ხელიდამ.

— მომიტმინე უთხრა მეორე ქალმა, თქვენ ეგა გპირდებათ გემრიელ სასმელ

საქმლებით სიამოვნებას, თქვენ გგონიათ რასაც გეუბნებათ კარგ რასმეს გეუბნებათ?.. იმას რასაც რომ შენ გპირდება, თვითონ მაგან არც ჭამა იცის არც სმავა სჭამს სვამს, ყოველთვის უდროვოთ დაუწყნარებლივ, ეგა სჭამს და სვავს არამც თუ საჭიროებას გრძნობდეს, მხოლოდ ცუდაობის გულისთვის და ამათ დროს გატარებისათვის, მაგან თვითონ არ იცის თუ რა ჩაიდინოს რომ იმით გაერთოს. მაგან თვითონ არაფრის გემო არ იცის საუკეთესო სასმელ საქმელებისა და შენ კი გპირდება რომ ვითომც შენ გემრიელ საქმელებს გაქმევს ყოველთვის და თბილ და რბილ ლოგინშიც მოგასვენებს ყოველთვის, მაგას თვითონვე არასოდეს არა აქვს მოსვენებული ძილი, ეგ ყოველთვის მოსვენებული ძილისთვის რბილსა და ყურთუკის ქვეშსაგებებს იშლის რომ როგორმე მოისვენოს მაგრამ, იმაზედაც კი ვერისვენებს და ვერ იძინებს, ეგ როდესაც წეება დასაძინებლად ყოველთვის მაშინ ჰფი-

ქრობს ქეიფს და დროს გატარებას, იმი-
ტომაც არასოდეს მოსვენება არა აქვს, მა-
გას ყოველთვის ისა ჰსურს რომ ქეიფში
და ლხინში იყოს, კაცი ყოველთვის მოს-
ვენებით და ტკბილად მაშინ დაიძინებს
როდესაც შრომობს, ე. ი. შრომის შემ-
დეგ ეგ როგორ დაიძინებს? როდესაც მო-
სასვენებლად დროება არა აქვს. მე კარგა
გცნობთ შენცა და მაგასაც და სხვა გა-
ჭირვებულებსაც, რომელნიც მაგან დაკარ-
გა თავისის ცრუ იმედებით და სიცოცხ-
ლის სიმწარით. განა ცოტანი არიან იმის-
თანები რომელნიც ამ ფამად სწყევლიან
მაგას, იმიტომ რომ, მაგან თავისის მიზე-
ზობით გაფუჭა იგინი და იმათაც თავიანთ
სიჭაბუკე. ამიტომაც კეთილგონიერნი ხალ-
ხნი მაგას სძრახავენ და დარდიმანდ ხელ-
გაშლილს ეძახიან, მაგრამ ვინც ჩემს კვალს
გამოჰყოლია, არც ერთი არ მოტყუებუ-
ლა. რომელნიც სიჭაბუკიდგანვე ჩემს წრეს
მოჰყოლიან ყველანი დამიკმაყოფილებია სუ-
ლითა და პატიოსნებითა, ყოველნი ჩემს და-

ყენებულს გზაზედ მომეტებული სიხარული უნახავთ ვიდრე სიმწუხარე, ყოველნი იმათ პატივს აძლევენ და პატივცემულად მიაჩნიათ ისინი. ყოველნიც კმაყოფილის გულით იხსენიებენ თავიანთ წარმავალს დროებას და კმაყოფილის გულით ელოდებიან სიბერის ჟამს სამარეში ჩაწოლას. მაგისაგან კი შეძრწუნებულნი არიან. ჩემზედ არა მგონია რომ თქვან, თუ მე მამეტყუებინოს ვინმე, ყოველნი მე პატივსა მცემენ და ჭეშმარიტებათ მიუღივართ. აი, რა გვარ ცხოვრებას გიძღვნი ჰერკულესს.

„ჰერკულესმა ბევრი აღარა იფიქრა რა და თავის სიცოცხლე ჭეშმარიტების კვალს მიადევნა, იშრომა ხალხისთვის, ემსახურა იმათ თუ ღმერთებს და თვითონაც კეთილ ცხოვრებაში იმყოფებოდა ყოველთვის.

სოკრატმა როდესაც გაათავა თავის მოთხრობა, არისტონს უთხრა: „იფიქრე შენ არისტონ, იმ ორთა შუა რომლის კვალს უნდა მიჰყოლოდა „აწმყო ბედნიერებას“ თუ „ჭეშმარიტებას?“ გადასწყვიტე

ვიდრე დრო გაქვს, ვიდრე სიბერე შორსა
გაქვს და სინანული ახლო, თორემ ბო-
ლოს სინანული გაგიხდება უჭკუობა, ან
ხალხი არ მოიმდურო ანუ თუ ღმერთები
და ისე არ მოკვდე.

III

როგორ უნდა მოვლა ხალხსა.

მართხელ სოკრატმა გაიგო რომ, გლაე-
კო სახელოვან ერთ მდიდარ კაცს ჰსურს
ქალაქის მმართველად გამწესდეს. სოკრა-
ტი იმას კარგად იცნობდა ადრევე რომ ის
გამოუცდელი კაცი იყო და იმის ნახვა
მოინდომა.

ერთხელ სოკრათი შეხვდა იმას ქალა-
ქის მოედანზე, ნახა რომ გლაეკო დგას
ხალხთა შუა და ხალხი დიდის პატიეცე-
მით ელაპარაკება იმას. ყოველი იმათგანი
იმედულებდა რომ ის მალე მიიღებდა ქა-

ლაქის მმართველობას და გლაეკოსაგან დიდი იმედი ჰქონდათ ერსა გაჭირვების დროს დახმარებისა.

გლაეკოსაც იმედი ჰქონდა, რომ უეჭველად თვითონ ამოიჩვენდნენ თავიანთ ქალაქის მმართველად, და ამისთვისაც ამპარტავენად იდგა ხალხთა შორის.

მოუყახლოვდა იმას სოკრათი.

— გლაეკოს გაუმარჯოს, სალამი უძღვნა სოკრატმა! მე გამიკია გლაეკო რომ თქვენ უნდა ამოგიჩიონ ქალაქის მმართველად.

— დიახ, იმედი მაქვს:— უპასუხა გლაეკომ.

— რატომ, კარგი საქმეა, უთხრა სოკრატმა: იმ დროს დიდი დიდება და პატივი გექნებათ და იმედიცა მაქვს რომ ერს კეთილდღეობა მიანიჭო, რასაკვირველია მაშინ შენი სახელიც გაითქმის მთელ ათინაში.

— რასაკვირველია ეგ ეგრე იქნება, უპასუხა გლაეკომ: რატომაც არ უნდა მივცე კეთილდღეობა.

— კარგი მმართველი ის იქნება უპასუხა სოკრატმა, ვინც დაეხმარება საკეთილდღეოთ და სარგებლობას რასმეს მისცემს, ესე არ არის?

— რასაკვირველია ვგ ვგრეა, უპასუხა გლაუკომ.

— მაშასადამე გთხოვ რომ მითხრა, ხალხს რა სარგებლობას მოუტან და რით გინდა დაიწყო შენ საქმე პირველად?

— მაშინ გლაუკო ძლიერ დაფიქრდა და პასუხი ვერაფერი მისცა, ჯერ-ჯერობით გლაუკოს არაფერი არ ეფიქრნა იმ საქმეზედ თუ საიდან უნდა დაიწყო საქმე, ჯერ ის ჰფიქრობდა, სოკრატმა უთხრა:

რა დიდ ფიქრში ჩაეარდი, განა ვგრე ძნელია მაგის გაგება? თუ საიდან გინდა დაიწყო საქმე და როგორ მიანიჭო ერს კეთილდღეობა? ერიც შედგება იმისთანა პირებისაგან როგორც ჩვენ ყველა. თუ თქვენ მოინდომოთ რომ მოძძეს სიკეთე უყოთ, პირველი საქმე ის იქნება შენი რომ, ყოველთვის უნდა იზრუნოთ იმათთვის და

იმათ სარჩო-ქონების წარმატება მისცეთ და
გამდიდროთ ისინი.

— ეგ ნამდვილია, უპასუხა გლაფკომ.

— ეს იმას ნიშნავს უთხრა სოკრატმა:
თქვენ იმ გვარად უნდა იმოქმედოთ ხალ-
ხის გულისთვის რომ როგორმე სარგებ-
ლობა მოუტანოთ და ყოველნი გამდიდ-
როთ. ესე არ არის!

— რასაკვირველია ეგ ეგრეა, უპასუხა
გლაფკომ.

— აბა როგორ უნდ იმოქმედო რომ
ყველანი გამდიდრდნენ?.. ჰკითხა სოკრატ-
მა: მე ესე ვფიქრობ რომ ამ შემთხვევაში
ყოველს უნდა მომეტებული შემოსავალი
ჰქონდეს და მცირე გასავალი. შენ რას იტ-
ყვი ამაზე?

— მეც მაგ აზრზე ვდგევარ, უპასუხა
გლაფკომ.

— მაშასადამე მითხარ გლაფკო, ამ ქა-
მად ჩვენს ერს შემოსავალი საიღამ აქვს და
რამდენი ექნება? მე ვიცი რომ შენ ნათ-
ლად გეცოდინება ეს ყველა.

— არა მე ვერ გეტყვი ვერაფერს მაგაზე, უპასუხა გლავკომ, იმიტომ რომ ჯერ არ მიფიქრია მაგ საქმეზე.

— ეთქვათ მაგ საქმეზე ჯერ არ გიფიქრია, უპასუხა სოკრატმა, მე ვიცი რომ ეს კი უეჭველად გამოანგარიშებული გექნება, ერს რამოდენა ხარჯი ექნება? რასაკვირველია თუ მომეტებული ხარჯი ექნებათ, თქვენ ამას აღრევე მოიფიქრებდით, თუ როგორ უნდა შეუმოკლო ეს ხარჯი.

— არა, უპასუხა გლავკომ: მაგაზე ახლავე ვერას გეტყვო, ამიტომ რომ, ჯერ არც მაგაზე მომიფიქრებია.

— თქვენ ამაზედაც ჯერ არ მოგიფიქრებიათ, გაუმეორა სოკრატმა, ესეც არაფერი, მაგაზე შემდეგაც იფიქრებთ, ეგონებ რომ თქვენ ერთთავად იმ საქმეზე ჰფიქრობდით რომ ერთი როგორ გაეამდიდროვო, რა გიფიქრია მაგაზე, როგორ შეიძლება და რით გამდიდრდება ერთი?..

— უპასუხა გლავკომ, ჩემის აზრით ერის გასამდიდრებლად ყველაზე უკეთესი საშუა-

აღება ის იქნება რომ ომი დაიწყოს რომელსამე მხარეს და დავიპყროთ სხვა და სხვა გვარ-ტომნი, წაფართვათ იმათ ყოველი სიმდიდრე და გაუნაწილო ჩემს ერსა.

— მაგას ძლიერ სწორეთა ბრძანებით, უპასუხა სოკრატმა; ხალხის გასაშლიდრებელი საშუალება აი სწორედ ეკ არის, მხოლოდ ესეც კია რომ, გალაშქერით რომელსამე მხარეს შეიძლება უბრალო ხარჯიც მოგივდეს და ვერც გაიმარჯვო — და მაშინ უფრო ხალხი დაადარიბო, გამდრდრების მაგივრად. ფული ფულად დახარჯო და ხალხის დალუპვაც მომატებული იქნება. ეგ კარგად უნდა იცოდე რომ მაგ შემთხვევით ერი არას სარგებლობს, მაშასადამე უნდა უფრო დადარიბდნენ?..

— რასაკვირველია ეგ ეგრე იქნება, უპასუხა გლაუკომ, მხოლოდ ომი უნდა დაიწყოს იმ დროს როდესაც კეშმარიტად იცოდე თუ შენ დაამარცხებ შენ მოწინააღმდეგე მტერსა და არა თუ შენ ის.

— მაგალითად ესთქვათ, დაუმატა სოკრატმა: ეს წინაღვე უნდა იფიქრო და გასაზრო ღონე და უღოსობა შენის ხალხისა და აგრეთვე შენის მოწინააღმდეგისა და ისე დაიწყო ომი.

— ევ ცხადია რომ ყოველი უნდა განისაზროს; უპასუხა გლაუკომ.

— მაშასადამე მითხარ გლაუკო, რამოდენა ძალა გვეყოლება ჩვენ სამხედრო მომზადებული. და ან რამოდენა ძალა ეყოლება ჩვენ მოწინააღმდეგეს, რომლის წინაც შენა გსურს ომი?

— მაგას შედარებით ვერ გეტყვი უპასუხა გლაუკომ, უწიგნოდ ძნელია მაგის მოსაზრება.

— მაშ თქვენ ნაანგარიშები გექნებათ აღრევე და აღწერილი, გთხოვთ ამის ანგარიში მოიტანოთ ჩვენ წვიკითხავთ და გავიგებთ უთხრა სოკრატმა.

— არა მე არაფერი არა მაქვს ნაანგარიშები და არც აღწერილი მაგის თაობაზე, უპასუხა გლაუკომ: მტრის ჯარიც ხომ

არ შემიძლიან გამოვიანგარიშო?..

— ძრიელ სამწუხაროდ მიმაჩნია, რადგანაც თქვენ ამბობთ რომ მტრის ჯარი არ დაითვლებათ; უპასუხა სოკრატმა; მაშასადამე ჩვენ არ უნდა ვსთქვათ თუ მტერს უეჭველად დავამარცხებთ, ისინი ჩვენ დავამარცხებენ. მაშ როგორც ვხედავ შენის აზრით, ხალხის გასამდიდრებლად იმოდენა სარგებლობას არ მოიტანს. გაამდიდრებ ერსა თუ არა ეს ცხადი არ არის: მხოლოდ ეს კი არის რომ ერს ბევრს დალუპავ და გამდიდრების მაგივრად უფრო დააღარიბებ:—მაშ ჩვენ ეს გაუშვათ უთხრა სოკრატმა: შენ ამ ჭამად ისა სთქვი გლავკო, რამოდენა პურია საჭირო ხალხისთვის გამოსაკვებათ? პურის მოსაღებნი წრეულ რა მდგომარეობაშია? ახლამდის ეყოფათ თუ არა? მე ვიცი რომ ეს კი აღრევე გექნება განსაზღვრული.

— არა მაგაზედაც ჯერ არ მიფიქრია უპასუხა გლავკომ, და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კვალად გააგრძელა,—თქვენ

ყოველი საქმის გამამძიებელი ხართ სოკრატ, ეკ სად წავიდოდა რომ ყველას შენსავით მოგვეფიქრებინა და გაგვესაზრა, მაშინ ხალხის მოვლა და მმართველობა ძლიერ ძნელი საქმე იქნებოდა.

— მაშ შენა გგონია ადვილია? უპასუხა საკრატმა: ერთი სიტყვაა მაქსეს საკითხი გლაეკო, მე გავიგე ვითომც თქვენ მოგისურვებიათ შემწეობის მიცემა ბიძის შენის ოჯახობისთვის და შემდეგ თავი მიგინებებიათ, — რაღათ დაანებეთ თავი?

— იმითომ რომ ეს საქმე ძნელი იყო ჩემთვის უპასუხა გლაეკომ. თუნდა საქმე ბევრი მაქვს მაგრამ ბიძაჩემი მე არას მიგონებდა.

— ჰხედავ გლაეკო, თქვენ ერთი სახლობაც ვერ შეიძელით შენახვა და ახლა გსურთ მთელი თემის შენახვა. კაცმა ყოველ საქმეს შეიძლება ხელი მოსჭიდოს მაგრამ, გამარჯვება იმას დარჩება ვისაც საქმის ძალა გაეგება და საქმეში გამოცდილია. ეცადე გლაეკო პატივისა და დი-

დების ნაცვლად უბედურებაში არ ჩავარ-
დე. წადი ჯერ კარგა მოიფიქრე ყოველი-
ვე ესენი რომელიც მე გკითხე და შემდეგ
ხალხის მმართველად აღმოიჩივე.

გლაფკომ ხმა აღარ ამოიღო და მხლე
გაშორდა სოკრატს. მას შემდეგ გლაფკომ
გულიდამ ამოირეცხა ხალხის მართველად
დადგენისა.

IV

რომელი სჯობს უფრო, მონა თუ
ბატონი?

მკითხელ სოკრატს ეწვია თავის ახლო
მეზობელი, რომელსაც სახელად ეწოდებ-
ოდა არისტარხი—და დაუწყო სამდურავი
თავის აწმყო უბედურ მდგომარეობის და
საქმის უკუღმართათ წასვლას.

— არვიცი რა უყო რომ, ჩემი საქმე
კარგა წაფიდეს სოკრატ? უთხრა არისტარ-
ხმა. მე ერთხელ მდიდარი ვიყავ და ბედ-
ნიერების სხივი მაღვა, როდესაც ვაჭრობა-
ში ვიყავ და ალებმიცემობას ვაწარმოებდი.

ამ ბოლოს დროს კი საქმე ძლიერ ცუდად წამივიდა და ვაჭრობილამ დავეცი და გავკოტრდი, ამ უბედურებაზედაც ზედ დაერთო ომიანობა რომელშიაც დაიხოცნენ ჩემი სახლიკაცები (ძმები), რომელნიც იმათი ცოლ-შვილნი უნუგეშოდ დარჩნენ. მაშინ მე ძალაუნებლიედ საჭიროდ ვსცან მომეყვანა იმათი ქერივ-ობოლნი ჩემს მზრუნველობის ქვეშ. ამ ქამად ჩემი ოჯახი შეადგენს თოთხმეტ სულს, არ ვიცი როგორ ვაცხოვრო და ვასაზღოვო ისინი? და ვარ ამ უბედურ მდგომარეობაში..

— მე ძლიერა ვწუხვარ შენთვის, მეზობელო, უპასუხა სოკრატმა: შენ რასა ჰფიქრობ შენს მდგომარეობაზე როგორ გინდა იმოქმედო რომ აიცილო თავი გაჭირვებილამ?

— მე მსურს ვალი ავიღო და კვალად გავაგრძელო ვაჭრობა უწინდებულად, მაგრამ არაფინ მაძლევს. იმიტომ რომ იციან ჩემი საქმე ცუდად მიდის ერთთავად.

სოკრატმა თავი გაიქნია და სთქვა.— ეგ

კი მართალია, ხუმრობა საქმე არ არის თოთხმეტი სულის რჩენა. მაგრამ აი შენი მეზობელი შენი სარკეა, იმითი ოჯახი შეადგენს ოც სულზე მეტს, ისინი ყოველნი მაძლარნიც არიან და ყოველთვის ფულსაც კი უკუაგდებენ ხოლმე.

— ჰაი თუ შენც შეაღარე, უპასუხა არისტარხმა, ჩემი მეზობელი ერთი კაცია, და ცხრამეტი სული მონა-მოსამსახურე ჰყავს, იმის მონები უფრო ბევრსა შრომობენ ვიდრე სჭამენ. მაგრამ ჩემი ოჯახობა თოთხმეტი სული ყოველთვის თავისუფლად არიან და არა შრომობენ.

— რა განსხვავება აქვსთ თავისუფლებს მშრომლებთან? უპასუხა სოკრატმა: იმიტომ რომ ისინი უფრო კარგნი არიან ვიდრე მონა მშრომელნი, აი ამით განსხვავდებიან.

— რასაკვირველია ისინი თავისუფალი ბერძნები არიან და მეორეები კი მშრომელნი მონანი.

— უპასუხა სოკრატმა, მაშასადამე შენის სიტყვით ისე გამოდის რომ, ვითომც

თავისუფალნი კარგნი არიან ვიდრე მშრომელნი! მაგრამ საქმით კი დიდი განსხვავებაა იმათ შუა. შენ ამბობ რომ, შენი მეზობელი იმით არის კარგი შენზედ რომ იმას მშრომელი მონები ჰყავსო და შენ კი თავისუფალი ბერძნები. მაშასადამე მონებს შრომა სცოდნიათ და თავისუფალ ბერძნებს კი არა.

— არა ჩემნიც კი შეიძლებდნენ შრომას თუ ვისმეს ძალა დაეტანებინა, მაგრამ მე ხომ ვერ ვეტყვი და ვერც გაუბედავ რომ იმათ იშრომონ. ისინი სახელოვანნი გვარის შვილნი არიან ჩამომავლობით, მე იმათ როგორ უთხრა რომ იშრომონ და თავიანთ შრომით მეც მაცხოვრონ და თვითონაც იცხოვრონ!?!.. მაშინ ისინი საწყინოდ მიიღებენ და ძლიერ შესწუხდებიან.

— განა ამ ქადაგ თქვენს ოჯახში გაჭირვება და მწუხარება არ არის? ჰკითხა სოკრატმა: ერთმანერთთან სიყვარულით და სიამოვნებით სცხოვრობთ?

— არამც თუ სიყვარული და სიამოვნ-

ნება, მხოლოდ ჩხუბის მეტი და სიძულვილის მეტი არა მესმის რა, უპასუხა არისტარხმა.

— გეტყობათ რომ უშრომობთაც თქვენში კმაყოფილება და სიამოვნება არაყოფილა და საკმელათაც არა გქონიათ ლუკმა პური. ხომ ხედავ რომ შენი დიდი გვარისშვილობა არც პურს გაძლევს, არც სიყვარულს, ის უფო სჯობიან, რომ შენ იმათთვის ისეთი საქმე მოიგონო რომ თავიანთ შესაფერი იყოს.

— მე შენი სიტყვის თანახმად მოვიქცეოდი მაგრამ, ჩემი ამ გვარი მოგცევა იმათთან არ შეიძლება, იმათ არ იამებათ და ხალხიც მაშინ მე დამძრახავენ უპასუხა არისტარხმა,

— ეხლა კი არა გძრახავენ? ჰკითხა სოკრატმა.

— როგორ არა ეხლაც კი მძრახავენ, რომელნიც კეთილნი სულნი არიან ჩემი ამგვარ ცხოვრებისათვის, მაგრამ ფულის კი არაუნ მაძლევს რომ ფეხზე დაედგე ხელმეორედ.

— აბა სწორედ საქმეც მაგაში მდგომარეობს უპასუხა სოკრატმა: აბა ერთი გამოსცადე და თქვენებს საქმე გაუჩინე, მაშინ თქვენი საქმე უკეთესად წავა.

არისტარხმა სოკრატის დარიგება მიიღო და ნახევარ წლის შემდეგ გზაზედ შეხვდათ არისტარხსა და ჰკითხა იმას თავის მდგომარეობა და ცხოვრება.

— ძლიერ კარგათ ვარ უპასუხა არისტარხმა და მადლობელიცა ვარ შენი დიდად. იმ ქამად თქვენ რაც დარიგება მამეცით, თქვენი დარიგება ყოველი ავასრულე და ახლა ჩემი საქმე ძლიერ კარგად მიდის. ერთი კაცი მე მენდო და ნისიათ მატყლი მამცა, ჩემა ოჯახობამ დართეს ის მატყლი, ზოგმა წინდები მოქსოვა, ზოგმა შალი და იმ შალიდამ ტანსაცმელი შეკერეს, ტანსაცმელი და წინდები მე მიმაქვს ვყიდი, მატყლის ფასი ხომ მაშინვე ამოიღო და მოგებაც კი დამრჩა. იმ დროიდან აქამომდე ჩვენ იმ საქმითა ვცხოვრობთ, ყველანიც მაძლარნი ვართ და ფულიცა

გვაქვს ახლა ჩვენთვის, აღარც ჩხუბია ჩვენში და აღარც სიძულვილი.

— ხალხი რას ლაპარაკობენ ჰკითხა სოკრატმა?

— ხალხიც აღარა მძრახვენ ცუდად, უპასუხა არისტარხმა და გაიღიმა.

ერთ ჟამად სოკრატი შეხვდა მოედანზე, ერთ ახალგაზდა ყმაწვილ კაცსა, რომელიც სიცხისაგან გაოფლიანებული ჩრდილოში იწვა და დაღლილობა ეტყობოდა სახეზედ.

— სოკრატი მას მიუახლოვდა და ჰკითხა: რისაგან დაღლილხართ ყმაწვილო მაგგვარად?

— როგორ არ დავიღლებოდი, სოფლიდამ აქამომდე ათი ვერსი გამომივლია ფეხით.

— გეტყობა მძიმე რამ ტვირთი გკიდებია ზურვზე, ჰკითხა სოკრატმა?

— ყმაწვილი კაცი ძლიერ შესწუხდა ავისთანა სიტყვაზედ და უთხრა.

— ეგ რა ჩემი საქმეა, ტვირთისთვის
მონა მყავს, და ტვირთი იმას ეკიდა.

— ისიც დაიღალა თუ არა?

— ის სრულგებობაც არ დაღლილა,
ჯანიანი კაცია, მთელი გზა სულ ღილი-
ნით მოჰქონდა თავის ტვირთი, გეგონებო-
და თუ იმას არაფერიც არა ჰკიდია ზურგზე.

— მე ძლიერ ვსწუხვარ თქვენთვის,
უპასუხა სოკრატმა, იმიტომ რომ შენს მო-
ნას შესძლებია შენი სამსახურიცა და სხვი-
სა შრავლისაც და თავის თავისაც, შენ კი
ვერ შეგძლებია ვერც შენი თავის სამსა-
ხური და ვერც სხვისა.

ერთხელ სოკრატმა ნახა რომ ერთი ბა-
ტონი თავის მონას ძლიერ უწყალოთა
სცემს მათრახით.

— სოკრატი მას მიუახლოვდა და ჰკით-
ხა, რათა სცემ მაგას ეგრე უწყალოთ?

— როგორ არა ვცემო უპასუხა ბატონ-
მა: ძლიერ მკამელია, ზარმაცია და მხო-
ლოდ ჰფიქრობს ძილზე და ქეიფზე ასი

მათრახიც რომ მოვარტყა ისიც კი ცოტა ამისთვის.

სოკრატმა ბატონი ცალ მხარეზედ გაიხმო და უთხრა.

— განა თქვენ კი არ გიყვართ თბილათ და რბილად დაძინება, ანუ ტკბილად ჭამა-სმა და ქეიფის გაწევა?

ბატონმა არა უპასუხა რა.

— როდესაც შენ თვითონ მაგ გვარ განცხრომისათვის ზრუნავ, მაშ შენ რამდონი მათრახი გეკუთვნის დასაკრავად იმ საქმისათვის რა საქმისათვისაც შენ მაგასა სცემ? მაგასაც შენგან უსწავლია მაგ გვარი განცხრომა.

ბატონს არად ეჭაჷნიკა სოკრატის ამ გვარი სიტყვები და მალე განშოჷდა.



როგორ ფნდა ცსოვრება ხიზანთან.

როდესაც სოკრატმა თავი დაანება თა-

ვის ხელობას და დაიწყო სიარული მოედანზე ხალხის საქადაგებლად და სასწავლებლად, სოკრატის ცოლს არ იამებოდა და ყოველთვის ჯავრობდა, იმიტომ რომ ის ყოველთვის თავის საქმეს სცდებოდა და ცხოვრებაც უჭირდებოდათ. როცა ნახა რომ სოკრატთან მრავალი ხალხი გროვდება სწავლის მისაღებად, მაშინ კი ცოტა გულს იმედი მიეცა და იფიქრა. „სწავლისთვის ხალხი საკმარისად დააჯილდოვებს სოკრატს, როგორც სხვა მასწავლებელნი სცხოვრებენ კარგად ჩვენც ისე ვიცხოვრებთ.“

სოკრატი კი ამ გვარად არა ჰფიქრობდა, ის ჰფიქრობდა, მე არ შემძლიან სწავლისთვის ხალხს ფული გადაეხდეინო, მე ამას ვასწავლი რა კვალზედაც მეღვთის ხმა ღამაყენებს, მე ვასწავლი ჭეშმარიტებას; როგორ შემძლიან ამისთვის ფული გადაეხდეინო“.

თუნდა რომ მრავალი ხალხი გროვდებოდა სოკრატის სწავლების მოსასმენად

მაგრამ სოკრათი შაინც არავის ფულს არ ახდევინებდა სწავლისთვის. ღარიბად სცხოვრებდა სოკრათი. სოკრათის ცოლს იმ გვარი ღარიბი ცხოვრება ძლიერ ეთაკილებოდა. ყოველთვის ის თავის ქმარს აყვედრიდა და ეუბნებოდა იმაზედ რომ ის ფულს არავის ახდევინებს სწავლისთვის. ზოგჯერ მეტის-მეტი სიბრაზით ტირილს დაიწყებდა, ხან სწყევლიდ ხან ლანძღავდა სოკრათის ცოლი ქსანიტიზა, ძლიერ გულმოსული დედაკაცი იყო, როდესაც გული მოუვიდოდა და გაანჩხლდებოდა, თავის თმების გლეჯას დაიწყებდა და რაც შეხვდებოდა ხელში აქეთ იქით გადაჭყრ-გადმოჭყრიდა. იმის ამ გვარ ქცევა-ხასიათისაგან მთელი ოჯახი დატანჯული იყო, თუ სოკრათი თუ ყმაწვილები, მხოლოდ სოკრათი არასოდეს არ სწუხდებოდა და არც თუ ჯაერობდა ის, ან სულ დაჩუმდებოდა, ან როგორმე ეცდებოდა დაეშოშმინებინა თავის ცოლი. ერთხელ სოკრათის ცოლმა ძლიერ წრიდამ გადასულად გალანძღა სოკ-

რათი, სოკრატმა ითმინა და ხმა არ ამოიღო, ცოლი ძლიერ გაანჩხლების შემდეგ აიღო სარეცხის წყალი და ქმარს თავს გადაასხა.

— სოკრატმა მაშინ ამოიღო ხმა და უთხრა: „აი სწორედ ვგრეც იყო საქარო, ამოდენა ქეჩა-ქუხილს უეჭველი იყო რომ, წვიმაც არ მოჰყოლოდა, გულდამშვიდებით უთხრა სოკრატმა და დაიწყო წმენდა გაწუწილი ტანისამოსისა“ ესე მოქმედებდა ოჯახში თვით სოკრატი და თავის შვილებსაც ესე ასწავლიდა, ერთხელ უფროსმა შვილმა ძლიერ გაანჩხლა თავის დედა, სოკრატმა უთხრა შვილს,

— როგორა ჰფიქრობ შენ, ზოგიერთა ხალხზე რომელთაც სიკეთე არ ესმით, კარგი ხალხნი არიან ისინი?

— მე ესე ვფიქრობ უპასუხა შვილმა, რომელმა კაცმაც სიკეთე არ გაიგოს და იმის ამაგი არ დააფასოს, ის კაცი ყოველის მხრით საძაგელი ცუდი კაცია. მე ისე ვიცი რომ ყოველმა კაცმაც ესე სთქვას.

— შენ ძლიერ სწორედ განსაჯე საქმე, უთხრა სოკრატმა; აბა ახლა შენ მე მითხარ, შენ რას იტყვი როდესაც ნახო რომ, ერთი კაცი მეორე დაუძლოურებულ კაცისთვის თავადადებულობა, იმას რომელიც დაუძლოურებულობა, იყვანს ხელში ერთ ადგილიდამ მეორე ადგილსა სვამს, უსუფთავეებს ქვეშ, ასაზღოებს, აცმევს ტანთ, უკერავს, ურეცხავს, აძინებს, ძილიდამ აყებებს, ავადმყოფობის დროსაც ზრუნავს იმაზე და იმისაგან მიყენებულ ტანჯვაწყალება მაინც მხიარულებად მიიჩნია იმას და ყოველთვის ითმენს სიხარულით, როგორა ჰფიქრობ რომელიც ზრუნავდა უძლოურისთვის, ის სიკეთეთ ითვლება თუ არა?

— რასაკვირველია დიდ სიკეთეთ უნდა ჩაითვალოს იმის იმისთანა მზრუნველობა იმაზე, უპასუხა შეილომა.

— ამისთანა მზრუნველობაზედაც უმეტესი მოუღია შენზედ შენს მშობელ დედას, ამას შენ აუყვანიხარ როდესაც შენ

ხელ-ფეხი არა გქონია ძუძუ უწოვებია და
ყოელის ფრით უსაზღოვებია, ლამე და დღე
გაუტეხნია და მრავალჯერ უძილოდაც დარ-
ჩომილა შენსგამო, ახლა შენ როგორ უნ-
და გადაუხადო ის ამაგი რომელიც შენზე
მოუღია?

მაშინ შეიღოს ძლიერ შერცხვა და გა-
წითლდა ამისთანა სიტყვებზე, მაგრამ კვა-
ლად არ უნდოდა გატეხილიყო და თავს
შართლოულობდა.

— მე ყოველთვის დიდის პატივის მცე-
მელი ვიქნებოდი თუ რომ ამის ადგილას
სხვა ყოფილიყო, ეს ადგილ-უადგილოდ
დაიწყებს ხოლმე შფოთვის და ანჩხლობს
ყოველთვის უმიზეზოდ, ამაზე კაცს ჯაერი
მოსდის და გული უსქდება თუ, რაზედ და-
იწყო ესე გაშფოთება?..

— სოკრატმა უთხრა: იცი როდესაც შენ
პატარა იყავი, ყოველთვის შენც ადგილ-
უადგილოდა ჰყვიროდი, ტიროდი, და აჯაფ-
რებდი, მაგრამ ეს ყოველთვის ითმენდა
სიყვარულით და კვალად უყვარდი და შენ-

ზედაც ზრუნავდა ყოველთვის. ახლა შენც
იმ გვარადვე უნდა მოითმინო და შეიყუა-
რო შენი მშობელი დედა...

VI

სოკრატე რატომ არ საჭიროებდა ან
ძვირფას საჭმელებს ან ძვირფას ტანთ-
საცმელს?

ერთხელ სოკრატთან მივიდა ერთი
მასწავლებელი, დააკვირდა იმის ცხოვებას
და უთხრა:

— მე ეხლა გავიგე სოკრატ შენ რო-
გორცა სცხოვრობ, შენი სასმელ-საჭმელი
ძლიერ უბრალო ყოფილა და ტანისამო-
სიც გამოუყვლელი და სხვილი სამოსლი-
სა, ზამთარ-ზაფხულ ფეხსაცმელი ხომ არ
გაცვია რიგიანი, მაშ რისთვის გინდა შენი
ფილოსოფოსობა როდესაც შენ ფილო-
სოფობაში ვერაფრით ვერ ისიამოვნებ და

მთელ შენ სიკოცხლეს სულ წვალებით და
ტანჯვით გატარებ?...

— შენ როდესმე გაგიგია ჩემგან რომ
მე შემოძეჩიელოს ტანისამოსისთვის და
საჭმელ-სასმლისთვის? უპასუხა სოკრატმა.

— არა არაოდეს არ გამიგია შენგან სა-
ჩივარი მაგრამ, შენი ცხოვრება ცხოვრებას
არა ჰგავს. შენ არც ნუგბარ საჭმელებსა
სჭამ, არც თუ საუკეთესო სასმელებს ხეავ,
არც ღროს ატარებ სადმე მხიარულებაში.

— უნდა იცოდე რომ ჩემისთანა იშტა-
იანდ არაფერ არცა სჭამს და არცა სვამს,
აი ამის მიზეზი რა არის, ახლავე მოგახსენ-
ნებ. თქვენ თვითონვე იცით რომ როდეს-
საც კაცი შრომობს და მუშაობს, მუშაო-
ბის შემდეგ რაც გინდა მცირე სასმელ-საჭ-
მელი იქოს მაინც გემრიელად ეჩვენება
კაცს, მე სწორედ ამ გვარად ვექცევი ჩემს
თავს; ვჭამ იმდროს, როდესაც მშიან, ვსვამ
იმ დროს, როდესაც მწყურიათ, მაშასადა-
მე ჩემთვის საჭირო არ არის ძვირ-ფასი და
ნუბგარი საჭმელ-სამელი, ჩემთვის უბრა-

ლო სასმელ-საჭმელიც გემრიელია, ვიდრე ძვირფასი. ტანსაცმლისთვისაც ამას გეტყვი რომ, ამის მეტი არა მაქვს რა და არც თუ ვსაჭიროებ, შენ ხომ იცი კაცს ორი ზელი ტანისამოსი უნდა ჰქონდეს, ერთი საზამთრო, მეორე საზაფხულო, თუ ზამთრისა ჩაიცვას ზაფხულში დასცხება, თუ ზამთარში ჩაიცვას საზაფხულო შესცივა. მაგრამ მე იმ გვარად შემეჩვევია ჩემი სხეული რომ ზამთარში ამ ტანისამოსით არ მცივა და ზაფხულშიაც არა მცხელა. სიცხეშიაც და სიცივეშიც საცა მინდა წაფაღ. მაშასადამე რაღათ მინდა სხვა ტანისამოსი?..

— ესთქვათ თქვენ მაგ გვარად შეგიჩვევიათ თქვენი სხეული, უთხრა მასწავლებელმა, სხვა ხომ თქვენსავით ვერ იცხოვრებს.

სოკრათი ეუბნება მასწავლებელს:

— ყური მიგდე რა გითხრა, ჩემთანაც მოვიდეს ერთი რომელიმე ღარიბი უქონელი კაცი და შენთანაც, მან შემწეობა ითხოვოს. მე და შენში რომელი უფრო ად-

ვილად მივცემთ შემწეობას, მე თუ შენ?.. მაშინვე შენ იმას იფიქრებ, კარგი იქნებოდა თუ შემეძლოს ამის შევლა მაგრამ, მეც ბევრი გაჭირვება მაღვიაო, „თუ ფულით უშველო ჩემს თავს უნდა დაეაკლო, თუ შრომით უშველო, ჩემი დროს დაკარგვა მეათსუსება“. მაგრამ მე არაოდეს არ ვიფიქრებდი მაგ გვარად. მე ყოველთვის მზათა ვარ სულითა და გულით სხვის შევლისთვის, იმიტომ რომ მე რითაც შემეძლება იმით დაეაკმაყოფილებდი, რომ დაკარგვასაც არ დავინანებდი. მე ვასწავლი ყოველთვის უფასოდ.

— მართალია უპასუხა მასწავლებელმა.

— ერთ სხვა რამესაც გკითხავ უთხრა სოკრატმა, ესე ვთქვათ ხალხის გაჭირვებულნი დრო იყო და ხალხი საჭიროებდეს ჩვენისთანა კაცების სამსახურსა, შენ ყოველთვის ეცდები რომ არ ამოგიჩიონ და არ მოგაცდინონ შენს საქმეს, რასაკვირველია შენი საქმიდან მოცდენა შენი დანაკლისია, მაგრამ მე კი დიდის სიხარულით წავიდო-

დი და არ დაეზოგაფდი ჩემს თავს შათს სამსახურისთვის.

— ჭეშმარიტად ამბობ უთხრა მასწავლებელმა მაგრამ, მე სიკვდილი მიჩვენია ვიდრე შენებრ ვიცხოვრო. მე უფრო გაკვირვებულები ვარ სოკრატე რომ დიდძალი ხალხი სმენულობს შენს სწავლას.

— ყურს მრავალი უგდებს ჩემს სწავლას მაგრამ, ცოტანი ასრულებენ უპასუხა სოკრატემა, ბევრი ჯერ ყურს მიგდებენ შემდეგ ისევ თავიანთსას ჩადიან. იქნებაც კი არიან რომელნიც ჩემს სწავლების თანახმად სცხოვრებენ. ისინი არაოდეს არ მემდურებიან და ამ ქაშად უფრო ბედნიერნი არიან ვიდრე წარმავალში. ჩვენ თქვენი სიცოცხლის ბედნიერება ვიცით, რომელიც არ გამოგიცდიათ.

მასწავლებელი გაშორდა სოკრატეს და იწყო ფიქრი თავისთვის. „ახლა მე რა ვიფიქრო სოკრატეზე, ბევრი კაცი ამას სულელს ეძახის და ჭკიცხავენ, იცინიან მაგრამ მე ამას სულელობა ვერა შევამჩნიე რა,

აჩამც თუ სულელი, აჩამედ ძლიერ ბრძენი ყოფილა და ჭეშარიტი.“

VII

ქმურს ცხოვრებისა გამო.

სოკრატმა ერთხელ გაიგო რომ, ერთი მდიდარი ვაჭარი თავის ღვიძლ ძმას ვაჭყრია. სოკრატი შეხვდა ერთხელ ამ ვაჭარს და სოკრატი ეუბნება.

— ძლიერ მიკვირს შენგან! შენ ჭკვიანი მეოჯახე კაცი ხარ და შენი ცდა სულის არის რომ უფრო გამდიდრდე, შენ ჰქირაობ ზედამხედველებს შენ საკუთარ საქმებისთვის ფულით სხვებსა და შენ ღვიძლ ძმას კი ფყრები!? განა არ შეგეძლოთ რომ ორ ძმას ტკბილად გეცხოვრათ?.

— რატომ ძმასთან ცხოვრება კარგია. მაგრამ, მაგისთან ძმასთან კიარა, ჩემი ძმა სხვისთვის კარკია, მაგრამ ჩემთვის ცუდი.

— იქნება თქვენ თვითონვე ეპყრობით იმას ცუდათ? ჰკითხა სოკრატმა.

მე კარგა მოვეპყრობი იმ კაცსა რომელიც ჩემთვის კარგი იქნება, სიკეთეს უზამ იმას, რომელიც ჩემთვის კეთილი იქნება, — მე არ შემიძლიან კეთილად მოვეპყრა იმ კაცსა, რომელი კაციც ყოველთვის ავსა ცდილობს ჩემთვის, თუ საქმით, თუ სიტყვით, თუ მოქმედობით, ჰსურს ჩემი დამნობა და მიწასთან გასწორება, მე არასოდეს არ ვსაჭიროებ იმისთანა კაცს. უპასუხა მტკივნის გულით ვაქარმა.

— მითხარ გეთაყვა, როგორ შეითვისებდი იმ კაცსა რომელთანაც მოგესურვა მეგობრობა? უთხრა სოკრატმა.

— ისე შევითვისებდი როგორც სხვებს ვითვისებ, ვეცდებოდი რაც იმას იამებოდა ჩემ შესახებ, საქმით იმას ისე ვაზებდი, მოვიწვევდი ჩემთან ვალხენდი, ვიმუსაიფებდით და ყოველ საქმეში უშველიდი რაც რომ შემეძლო, თუ ფულით თუ სხვა საშუალებით.

— მოდი მაგ გვარად მოექეც შენ ღვიძლ ძმასაც, — და მაშინ ნახავ რომ ის სულ სხვა

ნაირად შეიცვლება და შენს მხარეს დაი-
ჭერს ყოველთვის.

— ეს თქვით მე შენი სიტყვა ავასრულე
და გზაზე შეხვედრისათანავე მე იმას სალა-
მი ვუძღვნა, ვაი თუ იმან პირი მომარბი
დოს, მაშინ მნახველი რას მეტყვის? მაშინ
ხომ დაერჩი სირცხვილეული?

— თავ მდაბლობა და კაცობრიულად
ქცევა არასოდეს სირცხვილი არ არის,
უპასუხა სოკრატმა: კარგი კაციც არ გაი-
ცინებს, თუ მაშინ იმან არაფრად მიიღო
შენი იმასთან ისე სიმდაბლე და გულკეთი-
ლობა, მაშინ ის იქნება ბრალდებული და
არა შენ, იმიტომ რომ მაშინ შენ გამოხვალ
შენს მოვალეობიდან. მაგრამ მე არა მგო-
ნია როგორც შენ ამბობ ისე მოიქცეს,
აბა ერთი სცადე უთხრა სოკრატმა: მე ვი-
ცი როგორი ძმური, მეგობრული ცხოვ-
რებაც იცის იმან სხვებთან. მაშინ თქვენ
გაახლებთ, თქვენ ძმურ ცხოვრებას და ერ-
თიერთმანერთთან ბედნიერნი იქნებით. მა-

შინ თქვენ ისეთი ცხოვრება გექნებათ როგორც ღმერთნი გვიბრძანებენ.

— სოკრატმა კვალად გააგრძელა თავის ლაპარაკი: ორი ძმა ისეა როგორც კაცის ორივე თვალი, ორი ხელი და ორი ფეხი. ღვთისაგან დაწესებულია რომ ერთმა ხელმა მეორეს უნდა უშველოს, ისეც უნდა უშველონ ძმამ ძმასა. რა იქნებოდა როდესაც ერთი ხელი მეორეს უშლიდეს. მაგრამ კაცის ხელები არამც თუ ერთმანერთს უშლიან არამედ შველიან ერთმანერთს და იმიტომაც აქვს კაცსა ორი ხელი, რომ იმათ შემწეობით სარგებლობს. მაშასადამე ძმამ ძმას უფრო უნდა უშველოს ვიდრე ხელმა ხელსა, ფეხმა ფეხს და თვალმა თვალს. ხელები და ფეხები, ერთმანერთს კშველიან ერთ არშინ დაშორებით, მაგრამ ძმამ ძმას უნდა უშველოს ქვეყნის მეორე წევრამდის თუ იპოვებიან სადმე, ორს თვალსაც შეუძლიან მხოლოდ უყუროს ერთს წერტილს. იმიტომაც არის ძმა ძმისთვის საჭირო და სასარგებლო რომ ერთი ძმის

დაუნახავი ადგილი მეორეს შეუძლიან ნახოს. ღმერთს უბრძანებია ჩვენთვის რომ ყოველმა კაცმა ძმურად უნდა იცხოვრონ ერთი მეორესთან, არამც თუ თქვენ ერთა ძმებს ერთი მეორესთან მაგ გვარი ცხოვრება გაქვთ, მაშასადამე თქვენ წინააღმდეგნი ხდებით ღვთის ნებისა.

VIII

კაცთა ღმერთს უნდა იცხოვრონ ერთად.

სოკრატთან მოდიოდნენ სასმენლად ხალხი არამც თუ მართო ათინის მცხოვრებნი, არამედ სხვა და სხვა ქვეყნებიდამაც, სოკრატთან მოდიოდნენ ან სახლში ანუ თუ ელოდებოდნენ რომ ის გამოსულიყო მოენდანზე სალაპარაკოთ ცხადად.

ერთხელ სოკრატთან ჩვეულებაზე მომეტებული ხალხი შეიკრიბა, თუ მოხუც

ნი, თუ ახალგაზდანი, ათინის მცხოვრებნი და სხვა და სხვა ქვეყნელები. სოკრატს არაოდეს არ უყვარდა რომ მართო თვითონ ელაპარაკნა გავრძელებით, ის ყოველთვის სხვა და სხვა საგნებს ჰკითხავდა სხვებსა. ის ყოველთვის იმაზე ლაპარაკობდა თუ როგორა შევლის თავის დედა ხალხს მშობიარობის დროს, თავის ბებიაობით, ისე კი არას ასწავლიდა მხოლოდ ჰშველოდა, იმიტომ რომ თვითონვე ესწავლათ. სოკრატიც იმ რიგათ მოექცა იმ ჟამად ის სკამზედ დაჯდა და ხალხი ირგვლივ შემოერთყა. სოკრატმა ხელები მუხლებზე დაიწყო, თავი ძირს ჩამოჰკიდა დაიწყო ფიქრი. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, თუ ნეტა რა უნდა გვეკითხოსო!.. სოკრატმა თავი აამალლა და სთქვა.

— აბა მითხარით მე! ხალხი ერთად რათა ცხოვრობენ? — რატომ ცალ-ცალკე არა სცხოვრებენ? ჩვენ ვხედავთ რომ ხალხში ამ ჟამად ძლიერ მტრობა და სიმშურნვა, თუ ხალხს ცალ-ცალკე ეცხოვრ-

ნა იქნება უფრო უკეთესი ყოფილიყო.

ყველამ ერთობ დაიწყეს ლაპარაკი, ერთმა სთქვა: ხალხი იმიტომაც სცხოვრობს ერთად რომ სასარგებლოა ერთი ერთმანეთისთვისაო, მარტოხელობა ძნელია და მარტო შრომაც, როდესაც ბევრი არიან რასაკვირველია მაშინ უფრო ბევრი საქმე კეთდება.

მეორემაც სთქვა:—მარტოდ ცხოვრება საშიშოა და შესანახავათაც ძნელია თავის თავისა, მესამემაც სთქვა: კაცი რომ მარტო სცხოვრობდეს ყოველთვის დაღონებით იცხოვრებს, როდესაც კაცი ხალხშია მაშინ უფრო მზიარულად და გართობილია.

მეოთხემაც სთქვა:—სწორედ ღმერთსაც იმიტომ დაუარსებია ერთად ცხოვრება, და არა ცალ-ცალკე.

— ჭეშმარიტია სთქვა სოკრატმა, მხოლოდ როგორა სჯობს იცხოვრონ, მტრობით თუ მოყვარეობით?

— რასაკვირველია მოყვარეობით ცხოვ-

რება სჯობია ვიდრე მტრულად, უპასუხეს ყველამ ერთობით.

— თქვენც ეგრე ფიქრობთ და ღმერთსაც ეგრე დაუარსებია, მხოლოდ საქმის ძალა კი სხვას მოასწავებს: რათა?

მაშინ ყოველნი დაჩუმდნენ და არ იცოდნენ თუ რა პასუხი მიეცათ. სოკრატმა თავის ლაპარაკი გააგრძელა კვალად.

— მეც არ ვიცი მაგრამ აბა ვიფიქროთ, შეიძლება ყოველნი ერთად მივხედეთ მაგ საგანს. კვალად გკითხავთ თქვენ საგანს და მიპასუხეთ. პირველად ის მითხარით, კაცს რისაგან უფრო მომეტებული სარგებლობა აქვს, დაქირავებულ მონისაგან თუ კეთილმდომ ამხანაგისაგან?

— რასაკვირველია კეთილმდომ ამხანაგისაგან.

— ნაქირავები მუშა ყოველთვის თავისთვის ცდილობს, არა თუ პატრონისთვის, უპასუხა ერთმა იმიტგანმე კეთილმდომი ამხანაგი კი ამხანაგისთვის, როგორც საკუთარ თავისთვის.

— ნაქირავეები მუშა რჩება მხოლოდ
შენთან ვიდრე ფულს აძლევ და ვიდრე ფუ-
ლი გაქვს, ანუ ვიდრე თავის ყაბლს შეას-
რულებს მუშაობისას, შემდეგ კი თავს და-
განებებს და დარჩები მარტო, უპასუხა
მეორემ.

კეთილმდომი ამხანაგს კი იმით არის
კარგი რომ, უბედურ და ბედნიერ შემთხ-
ვევაში არაოდეს არ გაგიშვებს მარტოდ,
ის თავის უკანასკნელ გროძსაც კი არ და-
იშურებს შენთვის და გაგიყოფს უშუაზე:
უპასუხა მესამემ.

— კარგ ამხანაგთან ცხოვრებით თვი-
თონაც კარგი შეიქმნება: უპასუხა მეორემ.

— როგორც მე ვხედავ, თქვენ ყოველ-
ნი თანახმა ხართ იმ აზრისა, უპასუხა სოკ-
რატმა, რომ კეთილმდომი ამხანაგი ზევით-
თა დგას ვიდრე ნაქირავეები მუშა, ვისაც
უფრო ბევრი კეთილმდომი ამხანაგი ჰყავს,
ის უფრო მდიდარია და ღონიერი, სინა-
რულშია, და ყოველთვის მოსვენებაში,
ვიდრე ვისაც ბევრი ნაქირავეები მუშა? მა-

შასაღამე თქვენ უფრო მნიშვნელობას აძლევთ კეთილმდომ ამხანაგებს. გეტყობათ რომ თქვენ ყველას ბევრი კეთილმდომი ამხანაგები გყოლიათ, ვიდრე ნაქირავეები მუშები.

— ვგონებ რომ ეგრე უნდა იყოს, მაგრამ ეგრე არ არის: უპასუხა ერთმა.

— თუ მკითხავ, უპასუხა მეორემ, ჩვენთაგან ყოველს ჩამდენი მტერი გვეყოლება! ჩვენ ეხლავე გეტყვით, მოსამსახურე მონა და ნაქირავეები ჩვენ ბევრი გვყავს მაგრამ, თუ ჩვენთაგანს ერთი ორი კეთილმდომი ამხანაგი ჰყვანდეს ისიც დიდი საქმე იქნებოდა.

— რათა ჰკითხა სოკრატმა? თქვენ თვითონვე ამბობთ რომ კეთილმდომი ამხანაგი, მონა-მსახურსა სჯობსო და კი ვერა შოულობთ კეთილმდომ ამხანაგებს; თუ ჩვენ ვიცით რომ ხარები გვჭირია, ჩვენ იმას ვშოულობთ და თქვენ რატო ვერ შოულობთ კეთილმდომ ამხანაგებს? თუ თქვენ

იცით ისინი სასარგებლონი არიან თქვენ-
თვის და უბედურობის დროს თქვენთვის
ისინი დიდი იმედი იქნებოდნენ!?

— ერთმა იმათგანმა უპასუხა — იმიტომ
რომ კარგი ხარები ბევრნი არიან და კარგ-
ნი ხალხნი ცოტანი. როდესაც გუთნის-
თვის ხარია საჭირო მაშინ შენ არჩევ კარ-
გებს და ისე ყიდულობ. როდესაც მოკე-
თე დამჭირდეს სად უნდა ვიშოვო? ხალხი
ბევრია მაგრამ, კარგნი ცოტანი არიან
იმათში.

— ეგ ჭეშმარიტია, უპასუხა სოკრატმა:—
მაგრამ შენ მაშინ რომელ ხარს აიყვანდი
გუთნისთვის ან კარგს რომელს მიიჩნევდი?

— იმას მივიჩნევდი კარგად და იმ ხარს
აიყვანდი, რომელიც ხვნის დროს ღონივ-
რად გაზიდავდა გუთანს.

— მაშ რომელ კაცს მიიჩნევდი მეგობ-
რად, ჰკითხა სოკრატმა?.

— იმ კაცს რომელიც არამც თუ თა-
ვისთვის ზრუნავდეს, არამედ სხვისთვისაც,
როდესაც ის შეიტყობს რომ თავის მოკე-

თე ავად არის, ის დაუყოვნებლივ მივა იმას-
თან და გაიგებს იმის გულის პასუხს თუ რას
საჭიროებს—და რაც საჭიროება ექნება,
ყოვლის მხრით ეცდება რომ მალე აუს-
რულოს, არამედ ავადმყოფობის მიზეზით,
იმას არა ეენოს რა. თუ ფული სჭირია ფულს
მისცემს, თუ სხვა რამ ყოვლის მხრით შეე-
წევა. აი იმ გვარი კაცი ჩაითვლება კეთილ
მეგობრად და კეთილ მდომ ამხანაგად.

— შენ როგორ უნდა შეამჩნიო თუ,
რომელიმე კაცი მაგ გვარია? როგორც შენ
ამბობ?

— იმის ყოფა-ქცევიდამ გამოჩნდება რა-
საკვირველია.

— იმან რით უნდა გიცნას შენ? ჰკით-
ხა სოკრატმა.

— ისიც ჩემ ყოფა-ქცევიდამ შეამჩნევს.

— შენ რით შეიქმნებოდი მის მოკე-
თედ, როდესაც შენ თვითონ გაჭირვებუ-
ლი იქნებოდი? მაშინ ყოველნი დაჩუმდნენ
და ხმა არავენ ამოიღო, — არ იცოდნენ თუ
რით ეპასუხნათ.

— რა დიდი საქმეა რომ ვერ მიხვდით? — უთხრა სოკრატმა. ეთქვათ შენთან მოვიდა და დადგა ახლო ერთი ახალი მეზობელი; არც შენა სცნობ იმას და არც ის შენ, შენ რით უნდა შეამჩნიოთ თუ ის შენი კეთილი მდომი გახდება? შენ უნდა მოელოდო რომ იმან გიშველოს, თუ, ის უნდა მოგელოდეს რომ შენ უშველო რომელიმე საქმით?

— მე ესე ვკრძნობ, მე მოუცადო ენახო, ის რა სიკეთეს მიზამს, უპასუხა ერთმა იმითგანმა.

— ისიც შენ მოგიცდის, შენ რა სიკეთე უნდა უყო იმას, მაშინ თქვენ მაგობობით არასოდეს მოკვებები არ გახდებით — უპასუხა სოკრატმა.

— ჩვენთაგანს ყოველს უნდა რომ ხალხმა ჩვენ გვიყოს სიკეთე მაგრამ, ჩვენ კი არა გვსურს სხვის სიკეთის დაწყობა — უპასუხა მესამემ.

— აი სწორედ მაგისტვისაც ვამბობთ რომ, კარგი ხარები ბევრნი არიან და კარგ-

ნი ხალხნი კი ცოტანი, მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ რომ, ისინი რა გზით უნდა იყვნენ კარგნი? როდესაც ჩვენ თვითონ არა გვსურს რომ ჩვენ კარგნი ვიყოთ და სხვებს კი ვაბრალებთ,—უპასუხა მეოთხემ.

— ყოველნიც კი მაგ აზრისანი ვართ ჩვენ—უპასუხა სოკრატმა: კარგი იქნებოდა თუ ხალხს ერთად ეცხოვრათ სიყვარულით, არამც თუ მტრულად. თქვენ ამბობთ კაცისთვის ერთი ერთმანეთის მეგობრობა ძვირად ღირსო, კაცის მეგობრობა ყოველთვის იმაში მდგომარეობს რომ, ხალხს სიკეთე უყოს გაჭირვების დროს. როდესაც ჩვენ სიკეთე არა გვსურს, ჩვენ მხოლოდ გვსურს რომ სხვამ გვიყოს სიკეთე და არა ჩვენ. აი ამიტომაც არის რომ, ჩვენ ვერ შეგვიძლიან ერთად მშვიდობით ცხოვრება, ის კი შეგვიძლიან ერთმანეთის მტრობა და შურისძიება ყოველთვის.

IX

ყოველმა კაცმა რა უნდა იცოდეს

ერთ ჟამად სოკრათი მუშაობილამ მოდიოდა შინისაკენ, ნახა რომ ბევრი ხალხია შეყრილი მოედანზე, იმათში უფრო მომეტებულნი არიან თავის ნაცნობნი. მიუახლოვდა სოკრათი იმათ და სალაში უძღვნა.

— ჩვენ დიდი ხანია თქვენ გელოდებით სოკრატ! ერთხმათ შესძახეს ხალხმა. გთხოვთ დაბრძანდეთ, ჩვენ სურვილი გვაქვს შენთან ლაპარაკისა.

სოკრათი ჯერ არ დამჯდარიყო რომ გარს შემოერტყა ხალხი და ვინც კი გზაზე იყო მიმავალი ისინიც კი ბრუნდებოდნენ სოკრატთან, ვისაც კი ესმა ბაზარში რომ სოკრათი მოედნის კედლის ძირას ზის და ასწავლის ხალხსაო, ისინიც კი მოდიოდნენ თავმეტვრევით, ხელოსანი თავის ხელსაქმეს უშვებდა, ვაჭარი თავის ვაჭრო-

ბას და ყოველნი იმასთან იკრიბებოდნენ.

იმ ხალხთაკან ოთხთა ჰკითხეს სოკრატს
— ჩენ შეილებს რა ვასწავლოთო?

— რას გვიჩვევ სოკრატ, რა საქმე ვასწავლოთ ჩვენ შეილებს, რომ ისინი კარგნი კაცნი გამოვიდნენ? ისინი ახლა დაზდილნი არიან.

— თქვენ რა საქმე გინდათ იმათ ასწავლოთ, ჰკითხა სოკრატმა.

— მე მსურს ჩემს შეილს მკედლობა ვასწავლო, სთქვა ერთმა.

— მე ჩემ შეილს მინდა ქვის მთლელობა ვასწავლო. რომელი ხელობაც თქვენა გაქვთ სოკრატ.

— მე ჩემ სიცოცხლეში მხენელ-მთესველი ვყოფილვარ, და მე მსურს რომ ჩემმა შეილმაც ჩემივე ხელობა ისწავლოს.

— ჩემი შეილი სწავლაში ძლიერ მიღებულთა და ამიტომ იმასა ჰსურს ჰექიმობა ისწავლოს.

— ეგ ყოველი კეთილი, სთქვა სოკრატმა. ყოველ კაცსა ჰსურს, ესე ანუ თუ

ისე, სხვის სასარგებლოდ უნდა იშრომოს, ესე არ არის? თუ ყოველი ხელოვნებათ გამხდარიყვნენ, ყველა საქმე კარგად წავიდოდა რიგზე. როდესაც დაგვეჭირდებოდა სახლის ან საყდრის გაკეთება, მაშინ მივმართავდით ქვის მთლელს ანუ დურგალს, როდესაც საჭირო იქნებოდა ახალი ნაგებობის გაკეთება, მივმართავდით კვალად დურგალს, როდესაც კაცი ძალა-უნებლიეთ სცხოვრობდეს ცუდ ცოლთან და შვილი ძუნწო მამასთან, ძმა გამწყრალ ძმასთან, მეზობელი ანჩხლ მეზობელთან, მასპინძელი ამპარტავან სტუმართან, რა ოსტატი დავარქვათ?

— მაგისტვის ოსტატი ვერ ამოიჩივია, მაგისტვის საჭაროა ჭეშმარიტი კაცი, უპასუხა ერთმა.

— მაგისტვის საჭირონი არიან ან ქვის მთლელნი, ან დურგალნი, ანუ თუ ჭეჭიანი, სთქვა მეორემ.

— ეგ საქმე ყოველი კარგ კაცმა უნდა შეიგნოს, სთქვა მესამემ.

— მაშასადამე შენის სიტყვით, სთქვა მეოთხემ, ხელობის გარდა, ყველა კაცმა უნდა გაიგოს თუ სხვა ხალხთან როგორ უნდა ცხოვრება.

— ეს იქას ნიშნავს სთქვა სოკრატმა, ყველა კაცმა თავის ხელობის გარდა კიდე, ერთი სხვა რამ არის რომ აუცილებლად უნდა გაიგოს.

— მაგ საქმეს ყველა კაცო ერთ გვართა გრძნობს, სთქვა ერთმა.

— ეგ საქმე არ შეიძლება ისწავლოს კაცმა როგორც ხელობა, სთქვა მეორემ—

— რა გზით უნდა ისწავლოს, სთქვა მესამემ!

— საკვირველია უპასუხა სოკრატმა, ის საქმე რომელიც ყველაზე უსაჭიროესია, ის არ შე-ძლება ისწავლოს! გთხოვთ მითხ-რათ, რა არის თქვენთვის ყველაზე უძვირ-ფასესი, ცოლთან ტკბილად ცხოვრება თუ, კარგი ფეხსაცმელი?

— მე მირჩევნია ჩემ მთელ სიცოც-ხლეში ფეხშიშველა ვიარო, ოღონდ ჩემს

ცოლთან ტკბილად და სიყვარულით ვიცხოვრო.

— რა უფრო უმჯობესია, მშობელ მამასთან ჩხუბით ცხოვრება თუ, კარგი ჩაცმა-დახურვა?

— რასაკვირველია ის უმჯობესია ჩხუბი და აყალმაყალი არ იყოს, ეიდრე კარგ ჩაცმა დახურვას.

— რომელი ავადმყოფობაა ცუდი, ცივ-ცხელება თუ შენ არა კაცს არ უყვარდე?

— ყველაზე ცუდი ავადმყოფობა ის არის რომ არა კაცს არ უყვარდე.

— მაშასადამე ის საქმე გამოდის რომ ყველა კაცმა უნდა იცოდეს აუცილებლად ის საქმე, რომელიც უფრო მალლა დგას. ხარაზობაზედაც, მკერვლობაზედაც და ჰექიმობაზედაც, რომელიც ეს ყველა შეიძლება კაცმა ისწავლოს და ის კი შეუძლებელია. კაცს შეუძლიან ცის ვარსკვლავნიც კი გამოიანგარიშოს და დასთვალოს, ყველა მცენარეც იცნოს. მხოლოდ ხალხთან როგორ უნდა ცხოვრება ის კი არ შეუძლიან გაიგოს. ესე არ არის?

— სჩანს რომ ერთი საქმე არის, უპასუხეს სოკრატს.

— მე ამასა ეფიქრობ რომ, უპასუხა სოკრატმა, ჩვენზე წინადაც კი უცხოვრიათ ხალხსა რატომ ამ საქმეზე არაფერი არ უთქვამთ? აი ამ საყდრის კედლის ზედ წარწერილება, ეს ძველი მწერლობაა, ეს იმ საქმეზე არა სწერს, რა საქმეზედაც ჩვენ ამ ჟამად ვლაპარაკობთ, თუ კაცმა როგორ უნდა იცხოვროს სხვებთან.

— აქ სწერია, „იცან თავი შენიო“ და არა ის თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა სხვებთან, უპასუხა სოკრატმა.

— შეიძლება რომ, სწორედ ეს სიტყვები გვიჩვენებს იმას რომელიც აქ სწერია „იცან თავი შენი“, თუ რომ ვიცნოთ თავი ჩვენი, მაშინ ნათლად გავიგებთ იმას რომ სხვებთან ცხოვრება როგორ უნდა.

— სოკრატ გთხოვთ აგვიხსნა ეგ საქმე, სთხოვა ერთმა მათგანმა.

— თქვენ ხომ იცით ჩემი ხასიათი რომ მე ახსნა არ ვიცი, უპასუხა სოკრატმა: მე

შემიძლიან მხოლოდ გკითხოთ და თქვენ თვითონ გასაჯეთ საქმე და გამოიკვლიეთ. აბა უყურეთ იმ ხარებს, რომელთაც ყურძენი ჰკიდიათ და მიაქვთ. თქვენ ის მითხარით, თქვენთაგანი ვინ უფრო იცნობს ხარებს, ანუ თუ ვინ უფრო ყურძენს, რომელნიც ხარის ხორცსაცა სჭამთ და ყურძენსაც? თუ რომ გაგეგებათ ხარისა და ყურძნის მოვლა.

— რასაკვირველია იმას ეცოდინება იმათი მოვლა.

— კარგი, ვთქვათ როგორც საქონელი და ყურძენი, ესენი რომ კარგა დაწინაურდნენ რა უნდა იცოდეს იმან?

— უნდა იცოდეს, თავის დროს სასმელსაქმლის მიცემა, თავის დროსაც ვაზის გასხვლა და დაწიდენა.

— სწორედ იმიტომაც უნდა ვიცოდეთ თუ, რა უფროა საჭირო, საქონლისთვის ანუ ვაზისთვის, ესე არ არის? ერთი და იგივე საქმე ჩვენთვისაც არის საჭირო. ჩვენ ეცნობთ ჩვენთ ავს იმ დროს, როდეს-

საც ვხედავთ ჩვენთვის რა არის საჭირო. რასაკვირველია იმ საჭიროებასაც ვისრულებთ,

— ეგ ჩვენ აშკარად ვიცით თუ, ჩვენთვის რა არის საჭირო, უპასუხა ერთმა.

— მე არა მგონია რომ, იმისთანა კაცი იყოს, რომელიც ვერა ჰგრძნობდეს თავის საჭიროებას.

— შენთვის უფრო რა არის საჭირო, ჰკითხა სოკრატმა?

— ჩემთვის ბევრი რამ არის საჭირო, მხოლოდ ყველაზე მომეტებით სიმდიდრე.

— სთქვა მეორემ: თუ სოკრატმა მე მკითხოს, მე სიმდიდრეს კი არ ვინატრიდი, მე ვინატრიდი ერის ბატონობას, როდესაც მე ბატონი ვიქმნებოდი მაშინ სიმდიდრეც მექმნებოდა რაღა თქმა უნდა.

— მე კი არაფერს ვინატრიდი, სთქვა მესამემ: არც სიმდიდრეს არც ბატონობას, მე ვინატრიდი ზომიერ ცხოვრებას, ოღონდ გაუჭირვებლივ მეცხოვრნა და სწავლულობით მეშრომა ქვეყანაზე ისე რომ არავის შეეწუხებინა ჩემთვის.

— მეოთხემ სთქვა: — მე კი იმას ვინატრდი რომ, გამოჩენილი კაცი ფოთილუიყავ ქვეყანაზე, ისე რომ ყოველ კაცს ჩემთვის მოეცა პატივი.

— საკვირველია სთქვა სოკრატმა: როდესაც გკითხეთ თუ რა არის საჭირო რომ ხარი მაძლარი იყოს და ყურძნის ვაზი კარგი, ყოველმა ერთხმად მიპასუხებთ. როდესაც გკითხეთ კაცისთვის რა არის საჭირო, მაშინ ყოველმა თვითეული საკანი სთქვით, ხედავთ ჩვენ ჩვენს თავს ვერა ვცნობთ! თუ რომ ჩვენ, ჩვენი თავი გვეცნო, მაშინ უეჭველად შევითყობდით თუ რა არის კაცისთვის საჭირო, ისე რომ ყველა დათანხმდნენ. შენ ამბობ მე სიმდიდრე მინდაო, კარგი და პატიოსანი, ჩვენ ყოველნი თანახმანი ვართ შენის აზრისა, ჩვენც გვინდა სიმდიდრე. როგორ უნდა გავიყოთ ეს სიმდიდრე? თანახმა ხარ რომ ყოველმა თანასწორათ გავინაწილოთ შენი სიმდიდრე?

— არა, სთქვა პირველმა, იმ დროს რაღა სიმდიდრე იქნებოდა ჩემი?

— მაშასადამე ჩვენ არ შეგვიძლიან შენს აზრს დაეთანხმდეთ. სთქვა სოკრატმა. შეიძლება მებატონობაზე დაეთანხმდეთ. როდესაც შენ მებატონობას ნდომობ, მეც მებატონობას ვდომობ, მაშ ჩვენ ერთმანეთზე როგორ ვიბატონოთ?

შეუძლებელია სთქვა მეორემ და გაიცინა.

— მაშ როგორც ვხედავ შენთანაც არ შეიძლება დათანხმება: ახლა ვნახოთ შენთან როგორ დაეთანხმდებით, სთქვა სოკრატმა და მიმართა მეორეს. შენ ამბობ რომ, შენა გსურს ზომიერი ცხოვრება და მასწავლებლობა, მაშასადამე შენა გყვარებია სწავლა. მე მინდა სალამურის დაკვრა და ძლიერაც მიყვარს. მე ისიც მიყვარს კარგი ჭამა-სმა და ჩემ ქეიფზე დროების გაღარება, სალამურის დაკვრაც ხომ მიყვარს და აგრეთვე სხვა დამკვრელის ყურის გდებაც, ისე რომ სხვაც მე არ შემეხოს, როდესაც მე შენს სადგომის ახლოს მეცხოვრნა, როგორ უნდა მოექცეულვიყავ რომ შენთვის

არაფრით არ შემეწუხებინა და არ დამეშა-
ლა? შენც როგორ უნდა მოქცეულიყავ
რომ შენის მალალის კითხვის ხმით ჩემ-
თვის არ დაგეშალა და არ შეგეწუხებინა?—
ვთქვათ ჩვენ ორნივე ერთმანერთ გავეყა-
რეთ, ჩვენ ვინ უნდა გვასაზღოვოს სასმელ-
საქმლით? შენ შენთვის არას მოხარშავ და
არას მოიმზადებ, იმიტომ რომ შენ გიყ-
ვარს სწავლა კითხვა და სწავლაშიაც გარ-
თული იქნები, მეც შენთვის არას მოვამ-
ზადებ, იმიტომ რომ სალამურის დაკვრა
მიყვარს და იმით ვიქნები გართული. შე-
ნიძლება თქვენ სთქვათ რომ მაგ საქმეს მო-
ნებს უბრძანებთ და ისინი მოამზადებენო,
თუ რომ მონებმაც მოინდომეს სალა-
მურის დაკვრა და ზეცის ვარსკვლავთა და-
თვლა! იმ დროს რა უყოთ? მაშასადამე
შენი ნათქვამიც თავს არ მოვა. რაც რომ
შენთვის საჭიროა, იცოდე რომ ის სხვი-
სათვის არ არის საჭირო. ამიტომაც ჩვენ
ჯერ ვერ ვსცანით კიდევ კაცნი.

— ჩემ ნათქვამისთვის რას იტყვი სოკ-
რატ, ჰკითხა მეოთხემ!..

— შენ კარგა ამბობ უთხრა სოკრატმა. შენი ნათქვამი უფრო ჭკუაზე ახლოა, შენ გინდა რომ ყოველმა კაცმა შენა გცეს პატივი და დიდება. მხოლოდ შენ? ეგ ძლიერ სწორეა და კაცისთვისაც მხოლოდ ეგ არის საჭირო. შენ გინდა რომ მე შენა გცე პატივი, მეც მინდა რომ შენა მცე პატივი და დიდება ყოველთვის. მაგ გვარად ყოველსაცა ჰსურს რომ პატივი და დიდება სცენ, მაშინ რას იზავდი როდესაც პატივი და დიდება ეცათ შენთვის?

— აი სწორედ ეგ არის ძნელი გამოსათქმელი, სთქვა ერთმა.

— მართალია ეგ ძნელი გამოსათქმელია სთქვა სოკრატმა, მაგრამ საქმის გაკეთებაც მაგაში მდგომარეობს. თქვენი ყოველის თხოვნა ის გამოდის რომ ხალხმა ყოველმა ჩვენ გვიყოს სიკეთე და არაში დაგვიშალოს, — და არ შეეხონ ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეს არარის შენი აზრი?

— მართალს ამბობ სოკრატ, ყოველმა ერთ ხმათ უთხრეს.

— შენა სთქვი რომ სიმდიდრე მინდაო, შენცა სთქვი მებატონობა ანუ მბძანებლობა. შენა სთქვი თავისუფალი სწავლით შრომა. შენც მოინდომე პატივი და დიდება ხალხისაგან. თქვენთაგანს ყოველსა ჰსურს რომ ხალხმა არაფრით შეგაწუხოთ და არ დაგიშალოთ მხოლოდ ყოველთვის სიკეთე და პატივი ისურვონ თქვენთვის და სხვა. ეგენი რასაც თქვენ თხოულობთ, ყოველი კაცისთვისაც საჭიროა. ეს იმას ნიშნავს რომ, თქვენ სიკეთის წინააღმდეგ სხვის სიკეთე არ უნდა ეწინააღმდეგოს, სხვის სიკეთემ არ უნდა დაუშალოს. ჩვენ ელაპარაკობდით ხარებზე და ვაზის გამოთ, თუ თქვენ ამბობთ რომ, ხარებისთვის წყალია საჭარო, თქვენ ხომ იმას არ ამბობთ რომ იმათ უნდა ამღვრიონ მდინარე წყალი და იმათ ამღვრეული წყალი სხვებმა სვან, თქვენ ხომ იმას არ ამბობთ რომ, იმან ყველა ბალახი ფეხქვეშ უნდა გაქელოს და დასრისოს; და სხვებმა ტალახში მოსვრილი და გათითხნილი სჭამოს, თუ თქვენ ამბობთ

ყურძნის ვაზისთვის, საჭიროა თავისუფალი მიწა და გვერდებზედაც გათხრილი? თქვენ ხომ არ ამბობთ რომ, ყოველი შტოები დაეაჭრათ? ერთი და იგივე შეიძლება კაცზედაც ვსთქვათ. თუ რომ ჩვენ ვიცნობთ კაცი და მივხვდეთ თუ რა უფრო საჭიროა იმისთვის, ჩვენ გავრგებდით მაშინ თუ რა საქმე არ უნდა უყოთ იმას. ის არ უნდა ვიმოქმედოთ რაც კაცს დაუშლიდეს და ავნებდეს. ესე არ არის?..

ყველანი დათანხმდნენ სოკრატის აზრსა.

— იმ გვარად ჩვენ მივხვდებით თუ კაცისთვის რა უფროა საჭირო. ჩვენთაგანს ყოველსა ჰსურს რომ სხვებმა უყონ სიკეთე—მაგრამ, ჩვენ ვინ გვიშვრება სიკეთეს?

— ხალხმა უპასუხეს, ისინი სოკრატე.

— მაშ ჩვენ რა ვართ?

— იმ გვარივე კაცები. მაშ ჩვენ რა გვმართებს რომ მოვიქმედოთ?

— კაცთა სიკეთე, მაშასადამე ჩვენ გადავსწყვიტეთ, სთქვა სოკრატმა. ჩვენ ჩვენს თავს ვკითხეთ, თუ რა ვართ ჩვენ? და ისეც

გარდავსწყვიტეთ, იმიტომ რომ ჩვენ უნდა გავიგოთ და ვიცოდეთ კვლავ თუ ჩვენთვის რა არის საჭირო. რასაკვირველია ჩვენ ყველამ ერთ ხმათ გარდავსწყვიტეთ რომ ხალხმა არ დაგვიშალონ ჩვენ ცხოვრებაში და ყოველთვის კეთილი გვიყონ. მაგრამ როგორც სხვები ჩვენთვის სიკეთეს მოვისურვებენ, მაშ საჭიროა ჩვენც იმათთვის სიკეთე მოვისურვოთ. აი სწორედ ეს არის სიკეთის და კეთილის დაწყების კვალის ცოდნა, რომელიც საჭიროა ყოველმა კაცმა იცოდეს და გაიგოს.

— ეგ მართალია ეგრეა—უთხრა ერთმა მათგანმა, მაგრამ ყოველთვის კი არ შეიძლება კაცმა გაიგოს თუ რით დაუშლის სხვას, ან რომელი კეთილია ანუ თუ რომელი ბოროტი.

— შენ ჭეშმარიტს ამბობ: უთხრა სოკრატმა, მაგაში ჩვენ ვცდებით უცებ, მაგრამ ზოგჯერ ხარაზისა და მკედლის შეგირდებიცა სცდებიან, როდესაც ჯერ ახალად სწავლობენ ხელობას, მაგრამ იმათაც

კი თავიანთ ოსტატები ასწავლიან, რაც რომ იმათ უსწავლიათ თავიანთ ოსტატებისაგან, მე თვითონ ვსწავლობ ახალად ამ საქმეს, რომელიც ყოველი კაციც მოვალეა იცოდეს და მეც მოვალე ვარ რომ ვასწავლო სხვებს, როგორც ჩემთვის უსწავლებიათ ჩემს მასწავლებლებს და ღეთის ხმას, რომელიც მე მესმის ჩემს სინიდისში და სულში. ესე ხმა სინიდისის ხმაა, რომელიც ყოველს კაცსაც შეუძლიან ადვილად გაიგოს თავისში, თუ კაცი მოინდომებდეს გაკებას იმ ხმისას. თუ გაიგო ის ადვილად ისწავლის მასწავლებლისაგანაც და იმ ხმისაგანაც. ესეც უნდა იცოდეთ რომ ყოველ უმთავრეს საქმეში უწინამძღოლთ არ დარჩება იგი. ადამიანის გაჩენის დღიდან მოყოლებული სულ სწავლობენ თუ როგორ იცხოვრონ ერთად და მით ყოველთვის ერთგვარი ხმა მუშაობს და ლაპარაკობს, ერთსავე და იგივესაც ლაპარაკობს. რაც კაცმა იცოდეს ყველა კარგია, მხოლოდ ყოველზე უსაჭიროესი ის არის

რომ კაცთა ისე იცხოვრონ რომ სხვას არა
გზით არ დაუშალონ და ყოველთვის კე-
თილი იმოქმედონ.

X

სოკრატის გასამართლება

სოკრატმა თავის კეთილის დარიგებით
და ქადაგებით მრავალი მეგობარნი და მო-
წაფენი მოიპოვა, მაგრამ სოკრატის მტრე-
ბის რიცხვიც კი ცოტა არ იყო, ქართუ-
ლი ანდაზათ არის ნათქვამი (სადაც მოყ-
ვარე გყვანდეს იქაც მტერიო), მაშასადა-
მე შეუძლებელი იყო რომ სოკრატსაც არა
ჰყოლოდა მტერი. სოკრატის დარიგება და
სწავლა თუ ბევრს იამებოდა, ბევრსაც არ
იამებოდა. ამიტომაც მდიდარ ხალხს სოკ-
რატი არ უყვარდათ. სოკრატი ყოველთვის
იმას ასწავლიდა რომ, შრომა და გარჯა კა-
ცისტვის არასოდეს სათაკილო არ არისო,
ის ამბობდა რომ ცუდობა უფრო სათა-

კილო და სირცხვილია კაცისთვისაო, და
ღმერთსაც იმ კაცისთვის მიუნიჭებია ბედ-
ნიერება და კეთილი ცხოვრება, რომელიც
შრომობს ყოველთვის. მდიდრები ყოველ-
თვის ცუდაობაში ატარებდნენ თავიანთ სი-
ცოცხლეს და სხვის შრომით და ოფლით
იკვებებოდნენ და ამითაც ამპარტავნობდნენ.
სოკრატე იმასაც ასწავლიდა რომ კარგი და
პატიოსანი ჭეშმარიტი კაცი, არასოდეს იმა-
ზე არა ფიქრობს თუ კარგა ვიცხოვროვო,
კარგი ვქამო და კარგი ვსვავო, და ჩემი
დროება ისე გავატაროვო; მხოლოდ ის
იმას ფიქრობს რომ სისწორით იცხოვროს
წუთსა სოფელსა. უჭკუო ხალხნი კი სულ
იმ ფიქრში არიან და თავიანთ მთელ სი-
ცოცხლესაც იმ ფიქრში ატარებენ რომ,
როგორმე სიმდიდრე ბევრი შეიძინონ.
მდიდრები ყოველთვის უფრო სიმდიდრის-
თვის ზრუნავდნენ და იმისთანა ზრუნვას
ბედნიერებად სთვლიდნენ, ქვეყანაზედ.

სოკრატის მტრები თანდათან მრავლდე-
ბოდნენ და ერთმანერთს ეუბნებოდნენ:

„საკვირველი მოუსვენარი კაცია სოკრატის“¹, ხალხთა შორის ყოველთვის სიძულვილს და არეულობას სტეხსო, თავის სწავლების მოწყალებით, — და ჩვენს შეილება-საც კი ურჩობას ასწავლისო. იმათ თავიანთ მასწავლებელი უფრო სწამთ ვიდრე ჩვენაო, სოკრატის მოსისხლე მტრებმა ერთხმათ გარდასწყვიტეს რომ ერთის გზით როგორმე განთავისუფლდნენ სოკრატისაგან და ბოლო მოუღონ. თორემ ის ყოველთვის ეწინააღმდეგება ჩვენს თავისუფალ ცხოვრებას და კეთილ-მდგომარეობას...

— ისინი ამბობდნენ, ჩვენ იმისთანა ცილი უნდა დავსწამოთ და მძიმე საქმით უნდა გავაბათ მახეში და ისე გავხადოთ ბრალდებული ის რომ, ჩვენ მსწრაფად შეგვეძლოს იმის სისხლის სამართალში მრცემა და ბოლოს მოღება.

— იმათ გარდასწყვიტეს თავიანთში და ხმაც გააერცვლეს ხალხში, ვითომც სოკრატს არა სწამს ღმერთები და ხალხსაც სულ იმ აზრზედ აყენებდეს, რომ არც იმათ იწამონ ღმერთნი.

სოკრატეს დასწამეს რომ, ის ღმერთების მგომბელია და სხვებსაც იმას ასწავლისო. ამიტომ უნდა გასამართლდეს იგი. როდესაც სოკრატის მოწაფეებს ეს ამბავი ესმათ ძლიერ მოიწყინეს და გული შესტკივდათ, ამიტომ რომ იმათ უკეთ იცოდნენ რომ თავიანთი მასწავლებელი ცუდ საქმეს არაფერს ასწავლიდა ხალხსა და აგრეთვე იმათ. მაშინ ისინი მოგროვდნენ სოკრატთან და სთხოვდნენ: „მასწავლებელო ჩვენო, უნდა იცოდეთ რომ სუმბუქ ფათერაკში არახართ ჩაეარდნილიო, წინაღვე მოიფიქრეთ კარგათ, თუ, როგორ უნდა ელაპარაკოთ მსაჯულს და ისე წარსდევ, იმათ წინაშე, და შენი თავი ისე გაიმოიხსენ.

სოკრატეს თავის მოწაფეებში ერთი ძლიერ მდადარი მოწაფე ჰყვანდა, ის ეუბნებოდა სოკრატს: „თუ თქვენ ფხიზლათ და სრულ აზრზე არ ჰხედავთ თქვენს თავს, მეტი მეთ ჯავრისაგან და პასუხის მგებლობა არ ძალ-გიძსთ, მოძეცით ნება რომ წავიდე ჩემ ერთ მეგობარ გამოცდილ კაც-

თან, ამისთანა საქმეებში, რომელიც გამოცდილია ყოველთვის, იმას ფულს მივსცემ და ის დასწერავს იმას რაც რომ შენ უნდა ილაპარაკო მსაჯულების წინაშე, იმას თქვენ ჯერ შინ წაიკითხავთ გაიკვეთავთ და შემდეგ მსაჯულებს ისე ელაპარაკებით და მაშინ თქვენ გაგამართლებენ“. სოკრატმა უპასუხა მოწათფებს.

— დაწყნარდით, დაწყნარდით, საყვარელნო! მე არც ერთს სიტყვას არ ვეტყვი ჩემის თავის დასაცველათ, მხოლოდ ის იქნება ჩემი გამამართლებელი, როგორც მე ვსცხობ. ერმოგენ სახელოვან მოწათფეთაგანმა ურჩია: „სოკრატ განა თქვენ არ იცით სასამართლოში რა მნიშვნელობა ექნება კარგ ლაპარაკსა!.. განა არ მომხდარა ისე რომ, მოსამართლეებს გაემართლებინოთ რომელიმე საქმის დამნაშავე! აი როგორ, რომელსაც ულაპარაკნია გამჭრიახობით და ქველმეტყველობით, და ისე გაუმართლებია თავის თავი. მხოლოდ ზოგიერთი მართლები კი გაუმტყუნებიათ და გა-

უსამართლებიათ დასჯით. იმიტომ რომ
იმას ის უნო და გამკრიახობა არა ჰქონია
ლაპარაკისა“.

სოკრატმა უპასუხა: „მე თანახმა ვარ გა
მასამართლონ ჩემ მოქმედებულ საქმისა-
დაგვარად, მე არაოდეს არ ვშიშობ. მე
მესმის ღვთის ხმა რომელიც მეუბნება ჩემი
სიკვდილის დრო მოახლოებულა. აქამომ-
დე მე ძალ-ლონე მომდევდა, ყოველთვის
ცუდ და მანებელ საქმისაგან შორს ვდგე-
ბოდი და ყოველთვის კაცთათვის კეთილს
ვზრუნავდი, ახლა კი ძალა მიხდილი მივხ-
წეულვარ ღრმა მოხუცებას, მე ვშიშობ,
არამც თუ მარტო სხეულით დაეუძლოურ-
დე, არამედ სულითაც, მაშასადამე სჯობს
რომ მალე მოვკვდე.“

სოკრატი დაიბარეს სამსჯავრო სასა-
მართლოში.

სოკრატის გასასამართლებების დროს ხუ-
თასზე მეტი კაცი მოსულიყვნენ საცქერად.
მოსულიყვნენ აგრეთვე სოკრატის ბრალ-
მდებელნიცა და სოკრატიც მივიდა,

ძველ დროს საბერძნეთში დამნაშავეს გაასამართლებდნენ ხოლმე ქალაქის შუაგულზე ანუ მოედანზე სადმე, სადაც მრავალი ხალხი შეიკრიბებოდა ხოლმე.

— ისეც მოხდა იმ ჟამად.

წინ წარმოსდგნენ მბრალმდებელნი (სოკრატის სამართალში მიმცემნი), იმათა სთქვეს: „სოკრათი ამით არის ბრალდებული რომ არა სწამს ჩვენი ღმერთნი და ხალხსაც უქადაგებს ყოველთვის და ასწავლის ცრუ მორწმუნეობას რაღაც ახალ ღმერთზე?

მათ მოპირდაპირეს სოკრატმა უპასუხა: „მოსამართლენო და მოქალაქენო! მე ათინაში გამიტარებია ჩემი სიცოცხლე 69 წელიწადი. ჩემი ცხოვრება ეგონებ რომ ყველასთან ცხადია, მე ვასწავლიდი ყოველთვის ერსა ცხადად მოედანზე ანუ თუ საყდრის კედლის ძირას. თუ რომ შეუტყვიათ როდესმე ჩემგან რომელსამე ღმერთებზე გამობა ანუ ცუდი სიტყვის თქმი სთქვან“.

მაშინ არაფერ ხმა არ ამოიღო და სიჩუმე სუფევდა.

— მხოლოდ ღმერთების სურვილისა-
მებრ ვსჯიდი, მე ვამბობდი ყოველთვის
იმას რომ, ღვთის ნების გაგება ჩვენ ყო-
ველს შეგვიძლიან მეთქი, თუ რომ ყურა-
დლებას მივაქცევთ ჩვენ სანიდისის გულის
ხმას, რომელიც ის ყოველთვის ჩაგვძახის
ღვთას ხმას.

ამის წინააღმდეგი სოკრატეს ვერა უპა-
სუხეს რა.

შემდეგ გააგრძელეს თავიანთ ლაპარაკი
და სთქეს.

— სოკრატი იმითაც არის ბრალდებუ-
ლი რომ, ახალთაგობას თავის სწავლა-ქა-
დაგებით ზნეს უფუჭებს.

— მოქალაქენო! უპასუხა სოკრატმა:
„მე თქვენ შეილებს იმას ვასწავლიდი, რომ-
მელსაც ყოველი კაცი მოვალეა იცოდეს.
მე იმათ იმას ვასწავლიდი თუ როგორ უნ-
და გაიგოს ღვთის ხმა თავის სინდისში,
რაშია ჭეშმარიტება და რაში სიცრუე,
რაშია კეთილი და რაშია ბოროტი. მე ყვე-
ლას თანასწორედ ვასწავლიდი დიდსაცა და

ჰატარასაც. მე ვამბობდი: ნუ გინდათ სიმ-
დიდრე და დიდება, ნუ ჰფიქრობთ თქვენ,
თქვენს სხეულისთვის თუ როგორ უნდა
ასიამოვნოთ და დაატკბოთ, მხოლოდ იფიქ-
რეთ თქვენ, თქვენს სულზე. იფიქრეთ ის
თუ რა გზით ასარგებლოთ სხვები, ყველა-
ზე უმთავრესად მიიღეთ სისწორით ცხოვ-
რება. მე ვასწავლიდი ისე როგორც ღვთის
ხმა ჩამძახოდა. ჩემ ამგვარ ნასწავლისთვის
მე მზათა ვარ, არამც თუ ერთხელ მივიღო
სასჯელი არამედ ათასჯერ“.

სოკრატი დაჩუმდა. ბრალმდებელთა არ
იცოდნენ თუ რა უპასუხონ. მაშინ სოკ-
რატმა გააგრძელა თავის ლაპარაკი: „მე ძა-
ლა არ მიძს ბევრის ლაპარაკისა და იმით
ჩემის თავის გამართლებისა. ბევრმა იცის-
ლაპარაკი გრძლად და მოუწყვეტლივ, რა
არის იმით დააღბილოს მოსამართლის გუ-
ლი, ზოგსაც თვისტომობა მოჰყავს სასა-
მართლოში, ვითომ იმით თხოვნა ვედრე-
ბით მოსამართლების გული მოაბრუნონ
დამნაშავის მხრივ. მე მაგას არასოდეს არ

ჩავიდენ. თქვენ არ იფიქროთ თუ მე არაფერ არა მყავს ამ საქმის თაობაზე. თქვენ უნდა იცოდეთ რომ მეც კაცი ვარ, არა თუ ქვიდამ ანუ ხიდამ დაბადებული, მე მყავს მოგვარენი, ცოლ-შვილი და ერთგულნი მეგობარნი, მე იმათ არასოდეს არ მოვიწვევ, იმიტომ რომ ესეთი საქმე იმათი აქ მოწვევა თქვენი დამცირება იქნება. თქვენ მოვალენი ხართ სამართალი გარდაწყვიტოთ არამც თუ შებრალებით არამედ თუ ქეშმარიტის ხმის გაგებით. ამ გვარად დაგვალებთ თქვენ, თქვენი სინიდისი — და ამიტომაც არის დაფუძნებული წესიერი კანონნი.

მსაჯულთა ერთმანერთს შეხედეს და მოახდინეს გადაწყვეტილება. იმ მსაჯულებშიაც კი იპოებოდნენ სოკრატის მტერნი, რომელნიც მზათ იყვნენ გაებათ რომელსამე მახეში. თუმცა უმრავლესმა ხმამ ისე დაამტკიცა რომ სოკრატი არაფერში არ არის ბრალდებული. მაგრამ მეორე მხრის წინააღმდეგ ხმებმა აჯობეს და შემდეგ მსაჯულთაც ისე გარდასწყვიტეს და სთქვეს,

სოკრატეს ბრალდებულათა ესცნობთო“.

ბრალმდებლებმა ერთ ხმათ წარმოსთქვეს, „ბრალდებულია და სიკვდილით დასჯის ღირსიც არისო სოკრატი“..

სოკრატმა გულმშვიდათ მოისმინა მსაჯულთა განკარგულება და უთხრა მოსამართლეთა:—მბრალმდებელთა ჰსურთ ჩემი სიკვდილი, მხოლოდ სამართალი კი მე ნებას მომცემს რომ სხვა სასჯელი ამოვიჩიო ჩემთვის, გთხოვთ რომ ყური მიგდოთ!.. მე შემძლიან უმორჩილესად გთხოვთ; სიკვდილით დასჯის სანაცვლოთ, საპრობილეში ჩამწვედნეა. მაგრამ არაფრად კი არა ღირს საპრობილეში გატარებული სიცოცხლე, უსარგებლო იქნება სხვისთვისაც და ჩემთვისაც მძიმე, კანონის ძალით მე შემძლიან სხვა ქვეყანა ამოვიჩიო და აქაურობას მოვშორდე, მაგრამ ესეც კი ძნელი იქნება უცხო ქვეყნად წასვლა და დაკარგვა ჩემისთანა მოხუცისათვის. კანონი იმის ნებასაც მაძლევს, დიდის სულის ჯარიმა გადამხდეს. მხოლოდ მე კი

ფული არა მაქვს, იმედი კი მაქვს რომ ჩემმა მეგობრებმა და მოწაფეებმა პლატონმა, კრიტონმა და სხვებმა, სიხარულით გადიხადონ რაც რომ ჯარიმას დამადებთ, ხომ თანახმა ხართ მსაჯულნო? მსაჯულთა არა უპასუხეს რა.

მაშინ სოკრატმა სთქვა:

— თუ რომ მე ჩემი თავი დამნაშავედ არ წარმომედგინა, მაშინ მე მზათ ვიქნებოდი ყოველ უმძიმეს სიკვდილით დასჯისა, მხოლოდ ჩემი სინიღისი ჭეშმარიტია. ამიტომ რომ მე არავისთვის ვნება არ მიმიცია, მე მხოლოდ ვმსახურებდი ჩემს სამშობლოს კეთილ სინიღისიანად, თქვენ მოვალე ხართ ჩემ ამ გვარ სამსახურისთვის დიდათ დამაჯილდოვოთ, რომელიც ღირსია ჩვენთაგანი ერთი, რომელიც დიდი ხანია ჩვენ გვემსახურება ერთი მოქალაქეთაგანი; ე. ი. თქვენ მოვალენი ხართ ჩემს სიკვდილის დღემდის შემინახოთ საზოგადო ანგარიშით, რომელიც მე მიმსახურნია

საზოგადო სარგებლობისათვის ჩემის სწავლით, თქვენ მოქალაქენო! დაჯილდოების ნაცვლად მე მომიწვიედ სამსჯავროში იმიტომ რომ თქვენ დაუჯერეთ ჩემს მოსისხლე მტრების სიტყვებს და დაივიწყეთ ჩემი კეთილი მოქმედება. მაშინ მსაჯულნი ძლიერ შეწუხდნენ სოკრატის შეუპოვარ სიტყვებზე და იმის სითამამეზე, რომელმაც წინაღვე გაბედა და წარმოსთვა თუ იმათ როგორ უნდა გაესამართლებინათ იგი.

— ჩვენ უამისოთაც ვიცით, უთხრეს ერთმანერთს მსაჯულებმა.

— იმ დროს სოკრატის მოსისხლე მტრებმა ყვედრება და გოდება დაუწყეს მსაჯულებს და უთხრეს: თქვენ უკვე მაგის მხარეს იჭერთ, ვიდრე ჩვენსასაო, თქვენც ხომ არა გსურთ მაგის მოწათვედ გახდეთო?

— ვგონებ დროა განკარგულება მოვახდინოთ და გარდავსწყვიტოთ. დაიძახეს ერთ ხმათ მსაჯულთა— და ბევრიც აღარ გააგრძელეს თავიანთ მსჯელობა და ამ გვართ მოახდინეს გარდაწყვეტილება:

„სოკრათი ღირსია სიკვდილით დასჯისა, რომელმაც უნდა მიიღოს საწამლავი (ღარიშხანა) საპყრობილეში“.

სოკრატმა მოისმინა ძლიერ გულის სიმშვიდით, თავის სიკვდილით დასჯის განკარგულება და უთხრა მსაჯულთა.

„მე ძლიერა ვსწუხვარ მხოლოდ იმაზე არამც თუ ჩემ ბედის წერაზე, არამედ იმისთვის რომ, თქვენ გააცრუვეთ თქვენი თავი, აგრეთვე ხალხიც. რომელიც უბრალო კაცი ბრალდებულათ იცანით. ჩემნო პატივცემულნო მოქალაქენო! თქვენ უბრალოდ დაეჩქარენით განთავისუფლებას თქვენი თავისა, იმ დაუდგრომელ კაცისაგან რომელსაც არავისი შიში და კრძალვა არა ჰქოდა, მხოლოდ იგი ჭეშმარიტებას ასწავლიდა და არა ბოროტებას. უთქვენოთაც ელოდებოდა მოხუცს სიკვდილი, მხოლოდ თქვენ ამასა გთხოვთ როდესაც ჩემი შვილები დაიზარდნენ, ასწავლეთ იმათაც ის რასაც მე თქვენ გასწავლიდით. თუ შეატყოთ იმათ რომ, ისინი სიმდიდრის მოყვა-

რულნი არიან და არა კაცისა და მხოლოდ თავიანთ პატივს ემსახურებიან, მაშინ დატუქსეთ იგინი, ისე როგორც მე თქვენ და თქვენს შვილებს ვტუქსავდი. მაგობობით თქვენ იმათ კეთილ მიანიჭებთ და მეც იმ ჟამად დავჯილდოვდები ჩემის საქმით და მოქმედებით. ეხლა კი მშვიდობით, რადგანაც მოახლოვდა ჩვენი ერთმანერთის გაყრის ჟამი; თქვენ რჩებით სიკოცხლისთვის, მხოლოდ მე კი მივდივარ სიკვდილისთვის, ვისი ბედის წერაა უკეთესია? ეს მხოლოდ ღმერთმა იცის“.

XI

სოკრატე სპურობელში

საბერძნეთში ძველ დროში იმისთანა ჩვეულება ჰქონდათ რომ დღესასწაულ დღეებში დამნაშავეს სასჯელს არ მიაღებინებდნენ, რადგან დიდ ცოდვად ნიშნავდნენ, მხოლოდ მოუცდიდნენ ვიდრე დღე-

სასწაული დღეები გასულიყვნენ. სოკრატის გასამართლების დღიდანაც დღესასწაულებმა დაიწყეს, ამიტომაც სოკრატი იმ ჟამამდე დაატუსაღეს საპრობილეში. სადაც იმან გაატარა თავის უკანასკნელი დღეები ოცდა ათი დღე.

იმასთან ყოველ დღე იარებოდნენ საპრობილეში სანახაფად თავის მოწაფეები, რომელნიც სოკრატი კვალად ასწავლიდა იმათ, — და უქადაგებდა როდესაც მარტო რჩებოდა, მაშინ კი ლექსებსა სწერდა. იგი სრულებით არაფერზე არა ჰფიქრობდა და არცა თუ ნაღვლიობდა იმაზე თუ რამდენიმე დღის შემდეგ იმას სიკვდილით დასჯა მოელოდა.

დღესასწაულების გათავეების დღეებმაც მოაღწიეს.

სოკრატის მოწაფენი დიდად მწუხარებოდნენ თავიანთ მასწავლებლისთვის; იმათ უკეთ იცოდნენ რომ აღრე თუ გვიან უნდა გამოესალმნენ თავიანთ უძვირფასეს სოკრატს. «განა არ შეიძლება რომ გადა-

ვარჩინოთ ჩვენი მასწავლებელი?

— ეკითხებოდნენ ერთი მეორეს მოწაფენი.

ბოლოს დროს იმათ გარდასწყვიტეს რომ როგორმე დაქრთამონ საპყრობილეს მცველი და სოკრათი ლამით გაპარონ, შორეულ უცხო ქვეყანაში.

ამ საქმის გამოთ უნდა უეჭველად მოეღაპარაკნათ სოკრატთან, კრიტონ სახელოვან მოწაფეს. ბოლოს დროს მხოლოდ ორი დღეა იყო დარჩენილი, დღესასწაულების გათაფებამდის; საჭირო იყო დაჩქარებულიყო კრიტონი. იმ საღამოს ძლიერ გვიან მოშორდნენ მოწაფეები თავიანთ მასწავლებელს და ისე გარდასწყვიტეს თავიანთში რომ დილაზე ადრე მისულიყო კრიტონი და სოკრათი დაეთანხმებინა თავიანთ რჩევაზე.

კრიტონმა მთელი ღამე არ დაიძინა ამ ფიქრში და უხაროდა რომ ამისთანა საშუალება ჰპოვეს, რომელითაც შეეძლოთ სოკრატის სიკვდილიდამ განთავისუფლება.

იმ ფიქრებმა კრიტონს მთელი ღამე ძილი დაუფრთხო. გათენდა თუ არა ადგა ტანთ ჩაიჩვა და სწორედ საპყრობილისაკენ გასწია, საპყრობილის მცველი კრიტონს კარგად იცნობდა და ამიტომაც მალე შეუშვა საპყრობილეში რომ იმას სოკრათი ენახა: იმ ჟამად სოკრატს ჯერ კიდევ ეძინა, კრიტონი სიფრთხილით და ფეხ-აკრებით შევიდა სოკრატთან და ერთ მხარეს ჩამოჯდა კუთხეში. სოკრატმა რამდონიმე საათს არ გაიღვიძა, კრიტონი გაკვირვებით შესცქეროდა იმის დამშვიდებულ და უნაღვლელ სახეს, ჰკვირობდა თუ როგორი მშვიდი ძილი ჰქონდა და იმდენ ხანს რა მშვიდად ეძინა, როდესაც სოკრატმა უკეთ იცოდა რომ ცოტა დროლა დარჩენოდა სიცოცხლისა. სოკრატმა როდესაც თვალები გახილა ძლიერ გაიკვირვა რომ კრიტონი იქ დაინახა თავისთან.

— სჩანს რომ ძლიერ დაგვიანებულა, რატომ არ გამაღვიძე კრიტონ? უთხრა სოკრატმა.

— არა აღრეა—უპასუხა კრიტონმა: —
მზე ჯერ არ ამოსულა, მე მიაშვებოდა რო-
დესაც შენ გიყურებდი და შენ გულმშვი-
დათ გეძინა და—მშვიდათაცა ფშვინაედი,
ძილი კი კარგია რადგანაც დავიწყებას მის-
ცემ შენს ფიქრებს, რომელიც მომავალია
შენზე სიკვდილით დასჯისა ამ უკანასკნელ
დღეებში. მე ყოველთვის გაკვირვებული
ვარ ამ გვარ შენს გულმშვიდობაზე და
არც მოვიფიქრებდი თუ ამ უკანასკნელ
მოდწეულ დღეებში შენ ეგრე გულმშვი-
დათ დაგეძინებოდა.

სოკრატმა გაიღიმა და უთხრა: „განა ეხ-
ლა სცნობ შენს მასწავლებელს? შენ ისა
სთქვი კრიტონ, რათ მოსულხალ ესე აღ-
რე ჩემთან? იქნება იმიტომ რომ ძილში
მნახო თუ როგორ მძინავს?..

— არა მაგრისთვის არ მოვსულვარ, მხო-
ლოდ მე მოვსულვარ იმიტომ რომ ერთი
საჭირო თხოვნა მაქვს თქვენთან. შეცა
გთხოვ და ჩემი ამხანაგნიც, რომელთაც
თქვენი კეთილი სურთ... კრიტონმა გაუ-

ბედულობით ვერ დაასრულა ის სიტყვა რომელიც სოკრატისთვის უნდა ეთქვა.

— თქვი რაღა მალე, უთხრა სოკრატმა გულსწრაფად.

— სოკრატ, ჩვენ ამხანაგებმა გარდაესწყვიტეთ და საშუალებაც ვიპოვეთ შენი, იმისთანა რომელითაც განთავისუფლება აღვიღად შეიძლება შენი—აი ' როგორ, ჩვენ გვწადიან ციხის მცველი შევისყიდოთ და შენ გაგაპაროთ ერთ მხარეს უცხოეთს.

— როდესაც სოკრატს ამ გვარი სიტყვები ესმა, წარბები შეიჭმუხნა და მწუხარის სახით შეხედა კრიტონს.

— ჩვენი თხოვნა ეს არის და გთხოვთ რომ დასრულოთ ჩვენი სურვილი ჩვენო უძვირფასესო საყვარელო მასწავლებელო, თქვენ ხომ ტყვილ უბრალოდ დაგსაჯეს და სიკვდილი გარდაგიწყვიტეს. აბა კარგა მოიფიქრეთ, თქვენ ჯერ-ჯერობით რამოდენა სარგებლობას მოუტანდით კაცობრიობას. შეიბრალები შენი წვრილშვილი და აგრეთვე ჩვენი თავი, დაგეთანხმდი, შენი აქე-

დამ გაპარვისა. ჩვენ აღრევე მოგვიმზადებია ყოველი საშუალება. მე იქა მყავს ძლიერ კარგი მეგობარი რომელ თანაც შენ გაგისტუმრებ, ის შენ სიხარულით მიგიღებს თავისთან. შემდეგ იქ მოვიყვან შენ ცოლ-შვილსაც, თქვენ შეიღებს იქ გასწრთენით და ისინი არ დარჩებიან ობლად, ფულიც საკმარისი გვაქვს, შენ ხომ იცი რომ მე მდიდარი ვარ, რაც რამ მახადია არაოდეს არ დავიშურებ შენთვის, ჩემს გარდა ჩემს ამხანაგებსაც მოუმზადებიათ ფული, ოღონდ შენ გეშველოს რამე და გადარჩე სიკვდილით დასჯასა, შენ ჩვენთვის ყველაფერზე უძვირფასესი ხარ. გევედრებით დაგესთანხმდეთ ჩვენს ჩრევას, საჭირო აღარ არის მეტი ფიქრი, გრძელი დრო აღარ დარჩომილა, ეს საქმე ამაღამვე შეიძლება ავასრულოთ. კრიტონი ძლიერ გულმხურვალეთ ელაპარაკებოდა და თან გულამოსკვნით სტიროდა და ცხარე ცრემლები გადმოსდიოდა, — მაგრამ სოკრატის სახე ამტკიცებდა რომ კრიტონის თხოვნა ამაოთ მი-

აჩნდა, — როდესაც კრიტონმა გაათავა თავის ლაპარაკი, სოკრატმა უთხრა.

— მადლობას მოგახსენებთ კრიტონ, მაგგვარ გულ მტკიენეულ მზრუნველობისთვის ჩემზე. მე კარგად ვიცი რომ თქვენ ჩემთან მოსულხართ კეთილის აზრით, მე კარგად ვიცი რომ თქვენ ყველას გიყვარვართ და ვგონებ რომ მადლობელიცა ხართ ჩემი. მხოლოდ თქვენ არასოდეს არ უნდა უსმინოთ მაგისთანა ცრუ აზრებს. განა ჩემ განთავისუფლებისთვის მე უნდა მოვატყუო ჩემი თავი და სხვებიც. და დავივიწყო ჩემი სიტყვები. იმ დღეს სასამართლოში მე ვსთქვი, მიმიღია თქვენი გარდაწყვეტილება მეთქი, და მზათაცა ვარ ჩემ ნაქადაგებისთვის მივიღო სასტიკი სასჯელი. მაშასადამე არასოდეს არ მეშინიან დასჯისა და არც სიკვდილით დასჯისთვის გავეყრები ჩემს სამშობლოს და ჩემს მოძმეებს. მაგალითად ვსთქვათ: თქვენ მე გამანთავისუფლეთ საპრობილიდამ დღეს, კვლავ მე ის კაცი როდი ვიქნები რაც რომ წინად ვი-

ყავი, მაშინ გავხდები ცრუ-მატყუარა, თქვენ
ეს გინდათ? კრიტონი დაფიქრდა და იგრძ-
ნო რომ სოკრატი ჭეშმარიტად ამბობდა
მაგრამ კრიტონს არ შორდებოდა ის აზ-
რი რა აზრითაც მოსულყო სოკრატთან.

— უთხრა კრიტონმა. სოკრატ, რომე-
ლიც თქვენ გიცნობთ არაოდეს არ დაი-
ჯერბს თუ, შენ ცრუმატყუარა ხარ, მხო-
ლოდ შენ მოატყუებ იმ ცუდ ხალხსა რო-
მელთაც უსაბუთოთ და უბრალოდ მიგცეს
სიკვდილით დასჯასა და არა საბუთით, —
და ვინც კარგად გიცნობს ისინი კიდევ გა-
იხარებენ შენს განთავისუფლებისთვის.

— არა ჩემო კრიტონ, გადაწყვეტით უთხ-
რა სოკრატმა. მე მოვატყუებ არამც თუ
ჩემს მტრებსა, არამედ საერთოდ ყველას
და ჩემს სინიღისს. მე ჩემს მთელს სიცოც-
ხლეში იმას უქადაგებდი და ვასწავლიდი
რომ კაცმა არასოდეს არ უნდა მოატყუოს
და უსინიღისოთ არ უნდა დასრულოს საქ-
მე. მაშასადამე მე რომ ეგეთი საქმე ჩავი-
დინო, მაშინ ვინ დამიჯერებს მე, ანუ ჩემს

სწავლასა? საპრობილედამ გაქცევით მე
გავექცევი ჩემს მტრებსა. ჩემ სინილისის
ღვთის ხმას სად გავექცევი? მაშასადამე თა-
ვი დაეანებოთ მაგისტინო ცრუ აზრსა რო-
მელიც ვგ საქმე ჩემგან შეუძლებელია. მხო-
ლოდ ჩვენ ვაქცაყურად მოველოდეთ იმ
საქმეს, რომელსაც ვერ საით გავექცევით.
კრიტონმა ნახა რომ ვერაფრით ვერ დაი-
ყოლია თავის მხარეს, მეტი არა უთხრა რა
და დაღონებული წამოვიდა თავის ამხანა-
გებთან, რადგანაც მათაც აცნობოს სოკ-
რატის უარყოფა.

XII

სოკრატის უკანასკნელი ლაპარაკი

ჟი, დასჯის დრომაც მოატანა. იმ
ჟამად ისეთი ჩვეულება ჰქონდათ საბერძ-
ნეთში რომ, ვიდრე მზე ჩაწვერილიყო დამ-
ნაშავეს უეჭველად უნდა მიეღო თავის
მკაცრი სასჯელი, ამიტომაც დილიდგანვე,

სოკრატის მოწაფენი ერთად შეიყარნენ და საპყრობილის კარებთან მოვიდნენ. სოკრატის მოწაფენი ძლიერ მწუხარედ იყვნენ და ცხარის ცრემლით სტიროდნენ. საპყრობილის მცველი გამოვიდა და იმათ უთხრა, „მაღე შეესხნით სოკრატ თავის ბოროტსაო და იმ დროს თქვენც შეგიშვებთო“.

კოტა ხნის შემდეგ ციხის კარებიც გაიღო და მოწაფენი შევიდნენ. სოკრატი ჯერ ლოგინში იწვა და ბოროტნი კი ახალად შეესხნათ. საწოლის წინ იდგა სოკრატის ცოლი თავის უნცროსის შეილით რომელიც თან წაეყვანა და კალთაში უჯდა. სოკრატის ცოლმა როდესაც დაინახა თავის ქმრის მოწაფენი, გული ამოუჯდა ცრემლები თვალებში ქვითინით სთქვა: „უკანასკნელად მოსულან სოკრატ შენი მოწაფენი შენთან, ამათ ჰსურთ უკანასკნელად მოისმინონ შენი სწავლა, დღევანდელი შენი სწავლა იქნება ამათთვის საუკუნო და უკანასკნელი“.

სოკრატის ცოლმა დაიწყო ტირილ-ვაე-

ბა და თმის გლეჯა; სოკრატმა სთხოვა თავის მოწაფეებს რომ ის წაეყვანათ ხალხში.

სოკრატმა მოინდომა ადგომა მაგრამ, იმის მუხლები დაბუხვილ იყვნენ იმ წყეულ მძიმე ბორკილებისაგან. სოკრატმა ხელით დაიზილა და ცოტაოდენი შვება მიეკა.

— აბა მიყურეთ საყვარელნო შეგობარნო! უნდა იცოდეთ ყოველთვის რომ, კაცსა ტანჯვისა და დიდ წვალების შემდეგ ცოტა შვებაც ექნება, აი, როგორც ჩემს დაბუჟებულს მუხლებს, ამას წინად ფეხები ძლიერ დამბუხვიყო, მძიმე ბორკილებისაგან, მაგრამ ეხლა ცოტა მომეშვა. ადაშიანის შეილიც ისეა ყოველთვის, დიდ ტანჯვისა და წვალების შემდეგ შვებაც აქვს ხოლმე. აი, მე ეხლა ფეხზე ადგომაც შემიძლიან. „შევირდები იპრგელივ შემოხვევოდნენ სოკრატს; თუნდა რომ შაკირდებს დიდის სურვილით უნდოდათ სოკრატთან ლაპარაკი ანუ სოკრატის ლაპარაკის სმენა მაგრამ, სიტყვის გამოთქმა უძნელდებოდათ, რადგანაც ცხარე ცრემლნი აღიობ-

და იმათ ხმის ამოღებას, იმათ თვალწინ ედგათ ის უბედურება და ამ ფიქრებით აფრქვევდნენ მღუღარე ცრემლებს, იმიტომაც ვერაფერი ელაპარაკნათ. მასწავლებელი მაშინვე მიხვდა იმათ აზრსა.

— მაშინ უთხრა სოკრატმა იმათ, ჩემთან ცხადია ის რომ, თქვენ ჩემთვის ძლიერ გული გტკივათ, არამცთუ მარტო გულმტკივნეულობით, არამედ როდესაც კი გაგონდებათ ჩემი მწარე სასჯელი. ტანშიც კი ჟრუანტელ გივლით. მაგრამ აბა შემოიხედეთ მე, როგორ გული-მშვიდათა ვარ, არც გული მიკვნესის, არც მითრთის, როცა მომაგონდება ჩემი სიკვდილი ყოვლად მშვიდდება ხოლმე ჩემი გული და სული, და უშანკოვდება, მე საცოცხლის ფიალა უკვე აღმესია ამ საპყრობილეში და სიკვდილი წამი-წამზე მელის. ამასა ნატრობდა ზოგიერთი კიდევ ჩემთვის, მაგრამ განა ეს ნაკლულეევანება! როდესაც მე ჰეშმარიტებისთვის უნდა დავისაჯო და არა ბოროტისათვის. მრავალმა მე შემიძულეს და

ამიტომაც მიმცეს მკაცრ სიკვდილით სას-
ჯელს, მაგრამ მე არ შემოიძლიან იმათზე
ძვირი გული ვიქონიო და შევიძულო ისი-
ნი, იმიტომ რომ თავიანთ უმეცრობისა გა-
მათ ესე მომეპყრნენ. მე იმათ ვტუქსავედი
და ვაჩვენებდი ჭეშმარიტების გზას და უს-
წორებდი თავიანთ შეცდომილებებს, რის-
თვის? თავიანთ კეთილდღეობისთვის, იგი-
ნი ვერ მიხედნენ და ისე იგრძნეს ვითომც
მე იმათ ბოროტ გზის დამყენბელი ვყო-
ფილყიყავი, იგინი ისე მომექცნენ ვით უგუ-
ნურნი ბავშნი. მე ამას დაწვრილებით აგის-
სნით: „ვთქვათ ერთ ადგილას ავადმყოფი
ბავშვები არიან და იმათზე ერთ რომელსა-
სამე მზრუნველობა მიუღია და გულმოდ-
გინედ უვლის იმათ. შემდეგ ვთქვათ ის თა-
ვის მოადგილედ ნიშნავს ერთ რომელსამე
სხვა მზრუნველს იმათზე, რომელიც არის
ჰაქიმი და იმან უნდა გაჰკურნოს ავად-
მყოფი ბავშვნი, ეს მკურნალი ცდილობს
თავის ყოველ ღონის ძიებით რომ რო-
გორმე გაჰკურნოს იგინი იმ სწეულებისა-

გან. როგორა გგონიათ ავადმყოფი ბავშვი-
ნი რომელს უფრო მოინდომებდნენ და შე-
იყვარებდნენ რომ ყოველთვის თავიანთ-
თან ყოფილიყო, რასაკვირველია პირველს,
რადგანაც პირველი მზრუნველი თავიანთს
თხოვნას უსრულებდა და გულის მონდო-
მილებას. მხოლოდ მკურნალისთვის იტ-
ყოდნენ „ეს ვილაც კაცი ყოველთვის გვა-
წვალებს და გეტანჯავსო არც გვიშვებს
თავისუფლად, ვჭამოთ და ვსვათ, რაც რომ
ჩვენ გესურსო, ეს მხოლოდ მწარე წამლებს
გვასმევსო და ჩვენ ნებაზე არ გვიშვებსო
და სხვა. იგინი ყოველთვის ცდილობენ რომ
იგი მკურნალი როგორმე გაათახსირონ რომ
ალარ მივიდეს თავიანთთან“. ამ გვარადვე
ჩემმა მოწინააღმდეგებმა ვერ მიცნეს, ისე
როგორც იმ ბავშვებმა ვერ იცნეს თავი-
ანთ გამკურნებლი.

ამ ლაპარაკში სოკრატი დაჩუმდა, იმან
შენიშნა რომ კრიტონს უნდოდა რაღაც
ელაპარაკნა.

— სოკრატ! სთქვა კრიტონმა: თქვენ

ხომ კარგათ იცით რომ, თქვენი ყოველი ერთი სიტყვა ჩვენთვის ძვირადა ღირს, გთხოვთ რომ დაჩუმდეთ და აღარ ილაპარაკოთ. წედან საპრობილის ზედამხედველი ლაპარაკობდა ჩვენთან, რომელიც სიკოცხლის უკანასკნელ წამებში ბევრს ილაპარაკებსო, იმაზე საწამლაფი გვიან იმოქმედებსო და ამიტომ იმას უფრო მომეტებული საწამლაფი უნდა ვასოვო. მაშინ სოკრატმა უთხრა: ციხის ზედამხედველს დიდი მადლობა გამოუცხადეთ მაგისტანა მზრუნველობისათვის და სთხოვეთ რომ უფრო მომეტებული საწყაოთი დამიმზადოს საწამლაფი. მე მზათა ვარ, არამც თუ ერთ გზობით მივიღო საწამლაფი; არამედ ორჯელ და სამჯერაც, რამდენიც რომ საჭიროდ იქნება. საწამლაფი არაოდეს თავის ძალას არ დაჰკარგავს და თავის დროზე იმოქმედებს. და ამიტომაც გთხოვთ რომ იმ დრომდის გამიშოთ ცოტა ვილაპარაკო. მე მსურს ბევრ საქმეზე გელაპარაკოთ, ცოტა წინ მოსხედით.

სოკრათი იმ ქამად ლოგინზე იჯდა, გ-
რეშემო შემოჭხვევოდნენ თავის მოწათენი.



სოკრატის ახლოს უფრო იჯდა ფეტონ სახელოვანი მოწაფე ფეტონს ძლიერ მშვენიერი გრძელი თმები ჰქონდა. სოკრატს ძლიერ იამებოდა ლაპარაკის დროს იმის თმები—და იმით ტკბებოდა ყურებით. ფეტონი რადგანაც სოკრატის უფრო ახლო იჯდა ძირს სკამზედ, სოკრატი ხელს უსვავდა თავზედ.

— ფეტონ! უთხრა სოკრატმა: ხვალ ეს შენი ლამაზი თმები სად იქნება? იმ ჟამად საბერძნეთში ჩვეულებად ჰქონდათ, ვინც რომ მძიმე მგლოვიარე იყო, თმები უნდა მოეკვეცა და მიცვალებულის გვამზე დაეფინა. სოკრატი ამ ჟამად იმ აზრით ეუბნებოდა ფეტონს თავიანთ მასწავლებლის ამ გვარ სიტყვებმა გული ძლიერ დაუწყლულა, იმათ მაშინ ყველას გულები ამოუჯდათ და დაიწყეს ტირილი.

სოკრატმა უთხრა: „საყვარელო, მე არა ერთი სიკვდილისაგან, ძნელი წარმოსადგენია, არამც თუ სიკვდილი, არამედ უმეცრებით ცხოვრება“.

XIII

სოკრატის სიკვდილი

სოკრატი დაჩუმდა, მოწათები მოელოდნენ კვალად იმის ტკბილ საუბარსა. იმან უთხრა:— უკვე მოახლოებულა დრო, წავიდე გავებანო, იმიტომ რომ ჩემი გვამის გაბანვა სხვის საპაღონეთ არ გაუხდეს და არ შესწუხდნენ ჩემსა გამოთ. თქვენ კი გთხოვთ მომიცადოთ ბოლომდის.

სოკრატი გავიდა მეორე ოთახში გასაბანად თავის გვამისა. იმას წაჰყვა თან კრიტონი. მეორე მოწათენი კი იგონებდნენ მის უკანასკნელ ნათქვამ სიტყვებს და ლაპარაკობდნენ იმის სიკვდილზე და სწუხდნენ ძლიერ, ამას იტყოდნენ მოწათენი უჩვენუძვირფასეს უმასწავლებლოდ ჩვენი სიცოცხლე რა უნდა იყოსო?

დაღამდა კიდევც. სოკრატის ოთახში შემოვიდნენ თავის მოგვარე მონათესაენი, ცოლიც თავის წვრილშვილებით. სოკრა-

ტის შეილთაგანი ერთი ცოტად მოზდილი იყო, მხოლოდ ორნი კი ძლიერ წვრილნი. ცოტა ხნის შემდეგაც შემოვიდა სოკრატი. სოკრატი იმათ საუკუნოდ გამოესალმა. მაშინ დედაკაცებმა დაიწყეს სამწუხარო გლოვა ტირილი, ისე შეაწუხეს სოკრატი რომ, სოკრატმა სთხოვა ისინი იქილამ მოეშორებინათ სადმე.

მოწაფეთა სთხოვეს იმ ქამად სოკრატს რომ იმან აღვიაროს ის რაც რომ მზრუნველობა აქვს გულში თავის შეილებზე საბოლოოთ.

სოკრატ, თუ თქვენ ყმაწვილებისთვის ანდერძს დაგვიგდებ რასმეს ჩვენ სიხარულით ავასრულებთ თქვენ ყოველ სიტყვას და არ გავტეხთ.

სოკრატმა უპასუხა იმათ:—თქვენ კარგა იცით რომ მე არა სიმდიდრე არ მომეპოება საითმე, მაშასადამე მე საბოლოოდ რა უნდა მივცე მაგათ? ჩემი სიმდიდრე ის არის რასაც მე თქვენ გასწავლიდით, ისეც თქვენ ასწავლეთ ჩემს შეილებს და მაშინ გაიგებთ

თუ რა არის საჭირო მაგათთვის.

— კვალად ჰკითხეს მოწათფეთა:—მაშ ის გვითხარით სოკრატე, როგორა გსურთ რომ დაგმარხნოთ?

— რათა მკითხაეთ თქვენ მაგგვარ საქმეს!?. სოკრატემა გულძვირობით უთხრა მათ. განა თქვენ არ იცით რომ, ჩემ სიცოცხლეში ჩემს სხეულს იმიტომ უფროთხილდებოდი რომ, იმას ემსახურნა ჩემი სულისთვის. მაშასადამე როდესაც ჩემმა სულმა უნდა დასტოვოს ჩემი სხეული, შემდეგ ეისაც როგორ უნდოდეთ ისე მოექცნენ ჩემს სხეულს, მაშინ ჩემთვის სულ ერთია.

სოკრატე ლოგინზე გადაწვა და კვალად ჰსურდა ემუსაიფნა თავის ერთგულ შაგირდებთან, მაშინ უეცრად კარები შემოაღო და შემოვიდა ციხის ზედამხედველი, იმან გამოუცხადა სოკრატეს მსაჯულთა გარდაწყვეტილება.

— უთხრა ზედამხედველმა: სოკრატე როდესაც მე მივედი სხვა დასასჯელებთან გარდაწყვეტილების საუწყებლად და უთ-

ხრი რომ დროა მეთქი მიიღოთ სასიკვდი-
ნო საწამლაფი, იმათ გამლანძღეს და დი-
დის წყევლით მანუგეშეს. მაგრამ მე თქვენ-
გნით არას დროს არ მოველოდები არც
ლანძღვას და არც წყევლას, ამიტომ რომ
თქვენისთანა კეთილი და კეშმარტი კაცი
ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავს ამ საპყრო-
ბილეში. მე თქვენ არ უნდა გამირისხდეთ
და დამწყევლოთ, თქვენ ისინი უნდა დას-
წყევლოთ და შეაჩვენოთ, რომელნიც გახ-
დნენ შენი უმანკო სისხლის მიზეზნი. თქვენ
უკეთ მოგეხსენებათ რაც რომ უნდა გით-
ხრათ, მშვიდობით გამოსალმება. აბა, ეცა-
დე ვაჟკაცურად, რომ აიტანოთ ის, რაც
შენზე აუცილებელია.

როდესაც ელაპარაკებოდა ციხის ზედამ-
ხედველი სოკრატს, მსწრაფად კარზე გავი-
და რადგანაც კრემლების ნაკადულნი ხმას
უწყვეტდა ციხის ზედამხედველს.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ თქვენცა
უთხრა სოკრატმა, თავისაგან წარმავალ ზე-
დამხედველს. რაც რომ აუცილებელი სა-

ჭიროებაა უნდა ავასრულო. შემდეგ თავის მოწაფეებს მიმართა ამ სიტყვებით: ის როდესაც მოდის ჩემთან სალაპარაკოთ, ეტყობა რომ გულწმინდობით ვენანები. საყვარელნო, ვგონებ დრომაც მოატანა, უთხარით მოიტანოს საწამლაეი.

— რათა სჩქარობთ სოკრატ, უთხრა ერთმა მოწაფეთაგანმა, ჯერ ხომ მზე არცკი ჩაწვეერილა? სხვა დასასჯელნი მზის ჩასვლის შემდეგაც კი დროებას ატარებენ თავის ნაცნობებთან და მეგობრებთან სჭამენ სვავენ და მუსაიფობენ, შემდეგ ისე მიიღებენ ხოლმე საწამლაეს, თქვენ ხომ კიდევ დრო გაქვთ.

— სხვებს როგორცა ჰსურდეთ ისე მოიქცნენ, შეიძლება იმათ სიცოცხლე ძვირად უღირთ. მხოლოდ ჩემი სიცოცხლე კი საწუთროა, მე საჭიროდ არა ვრაცხ და ვახანო, მაშასადამე რაც გთხოვეთ ის მომიტანონ უთხრა სოკრატმა.

ერთი მოწაფეთაგანი კარებთან იდგა, იმან ციხის ზედამხედველს ანიშნა რომ

იმას საწამლაეი მოეტანა; ცოტახნის შემდეგ ზედამხედველი შემოვიდა რომელსაც ხელში ეჭირა ფიალა საწამლაეისა.



მადლობას მოგახსენებ მეგობარო თქვენ!
უთხრა სოკრატმა ზედამხედველს, მხოლოდ
ამას კი გთხოვ რომ მასწავლოთ როგორ
მოვიქცე საწამლაის მიღების დროს.

— ზედამხედველმა უთხრა: საწამლაის
მიღების შემდეგ უნდა იმოძენა იაროთ
ოთახში, ვიდრე მუხლები დაგიდუნდებო-
დეს, როდესაც მუხლები დაგიდუნდეს, მა-
შინ უნდა დაწვე ლოგინში. მუხლების და-
დუნება იმასა ნიშნავს რომ, საწამლავს უკ-
ვე უმოქმედია შენზე თავის ძალით, ყოვე-
ლის დაუყოვნებლივ სოკრატმა ჩამოართო
ხელიდამ საწამლაი თიალა და უეცრივ
მოსვა უკანასკნელ კაბლამდის. მთელი დღე
მოწაფენი მამაცად იყვნენ, მხოლოდ იმ
დროს კი ყველიანი დაძაბუნდნენ, ვერ შეი-
მაგრეს თავი და დაიწყეს ქვითინით ტირი-
ლი. მხოლოდ იმათში სოკრატი დარჩა
გულქვად და არა სტიროდა. ესე ეუბნებოდა.

— რას ჩასდიხართ საყვარელნო! ამშვი-
დებდა სოკრატი იმათ, მე დედაკაცნი და

ყმაწვილნი შინ გავისტუმრე, იმიტომ რომ არ მენახა იმათი ტირილი და ვაება, თქვენც კი ნაკლებნი არა ყოფილხართ იმათზე. მაშ თქვენ ჩემი ხატრი და თავაზა სრულებით არა გქონიათ.

როგორც ციხის ზედამხედვემა უთხრა, საწამლავის მიღების შემდეგ სოკრატმა დაიწყო სიარული და არ მოსპო, სიარული ოთახში, ბოლომდის, როდესაც ფეხები დაუდუნდა მაშინ თავის ლოკინზე გადაწვა. მოწათენი იმრგლოვ შემოეხებინენ სოკრატს.

მაშინ ციხის ზედამხედველი მივიდა სოკრატთან და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ხელით უზღელდა ფეხებს.

— მტკივნეულობასა ჰგრძნობ სოკრატ? ჰკითხაედა იმას.

— მტკივნეულობას არასა ვგრძნობ უპასუხა სოკრატმა.

ციხის ზედამხედვემა უფრო ძალით დაუწყო დაზელა ფეხებს. მაგრამ სოკრატმა მაშინაც არ იგრძნო ტკივილი.

— ეს იმიტომ არის ესე რომ უთხრა: ზედამხედვემა მოწათეებსა. ამას უკვე სხეული გასციებია და ცოტ-ცოტათ ეფანტება ძარღვებში. როდესაც საწამლაფი მიაღწევს გულსა, მაშინვე მოკვდება.

— საყვარელნო ვკვდები! დაუმაღლეთ ჩენს ღმერთებს, დაიძახა სოკრატმა.

მაშინ მოწათენი მისცვივდნენ და ჩასძახოდნენ, მაგრამ სოკრატმა აღარა უპასუხა რა. შემდეგ იმისმა სხეულმა დაიწყო თრთოლოვა და კანკალი, და გათავდა კიდევც. იმ ქამად მოწათეების წინ იღვა თავიანთ საყვარელი მასწავლებლის უსულო გვამი. მოწათეთაგანი ერთი წარშოსდგა და იმას თვალეები დაუხუჭა საუკუნოდ. აი, ესე იყო იმის ცხოვრება და ესეც მოკვდა სოკრატე. მაგრამ იმის სასწაული და დარეგებანი ჯერაც არ მომკვდარა და ისევ ცოცხალია აქამომდე.

შემდეგ იმისა, იმის მოწათენი მიჰყენენ იმის სწავლის კვალსა და ასწავლიდნენ ხალხსა კეთილ გზასა და ჭეშმარიტებას.

თავიანთ დიდ მასწავლებლის და ფილოსო-
ფოსის მოქმედებას, ესე ყველა სწავლა წიგ-
ნად აღწერეს და იმათ წერილით ჩვენც ვი-
ცანით სოკრათი.

სოკრათი სცხოვრებდა ქრისტეს მოსე-
ლის ოთხასის წლის (400) წინად.

(ბ ო ლ ო)

1
ფ 563

წიგნის მაღაზრი

დ. ა. კაზაროვისა



მსურველთა შეუძლიანთ მოგემაართონ შემდეგის აღრესით:

Тифлисъ, книжный магазинъ, Д. А. Казарова.

Базарная улица, д. Арджеванидзе

ქალაქ გარეთ წიგნებს უგზავნით მხოლოდ ამ თავით ფულის მიღებით, ანუ თუ მარკებით.